



სამთო - მოკოვებითი მრეწველობის
ზეგავლენა საქართველოს ბუნებრივ და
სოციალურ - ეკონომიკურ გარემოზე და
მისი პასუხისმგებლიანი ფუნქციონირების
პერსპექტივები



სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „სასარგებლო წიაღისეულის მართვის სექტორში გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა კავკასიაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „პური მსოფლიოსათვის“ პროტესტანტული განვითარების სამსახურის (BftW) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არის მხოლოდ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია.

სარჩევი

შესავალი	5
1. საქართველოს სასარგებლო წიაღისეული და მისი მოპოვება - გადამუშავების ისტორია	7
1.1 წიაღისეულის რესურსების მოკლე აღწერა	7
1.2 საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ისტორიის მიმოხილვა	7
1.3 საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარების დინამიკა	9
1.3.1 მყარი წიაღისეული	9
1.3.2 ნავთობი და გაზი	10
2. საქართველოს სამთო - მოპოვებითი ინდუსტრიის საკანონმდებლო ბაზა და სხეულმნიშვნელო ინსტიტუციური მოწყობა	13
2.1 ეროვნული საკანონმდებლო ბაზა	13
2.1.1 საქართველოს კონსტიტუციი	13
2.1.2 საქართველოს კანონი წიაღის შესახებ	13
2.1.3 საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნაბარტევიების შესახებ	13
2.1.4 საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	14
2.1.5 საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	14
2.1.7 კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები	14
2.1.8 საქართველოს მიერ რატიფიცირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები	14
2.2 საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ინსტიტუციური ჩარჩო	15
2.2.1 სხეულმნიშვნელო ინსტიტუტები და მათი ფუნქციები	15
2.2.2 უწყებათაშორისი თანამშრომლობა	17
3. საქართველოში მოქმედი საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციები და განვითარების პროექტების კაბეგორიზაცია	19
4. საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის დარგში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკა (2009-2015 წწ.)	23
4.1 ინვესტიციების მოცულობა	23
4.2 ინვესტიციების წყაროები	24
5. საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის გაბავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებაში	27
5.1 საბუშარო ადგილების შექმნა	27
5.2 მამოშვებული პროდუქციის ღირებულება	28
6. სამთო-მოპოვებითი მრეწველობის გაბავლენა საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ გარემოებაში	31
6.1 გავლენა გეოგრაფიული პირობებზე	31
6.2 გავლენა ეკოლოგიურ გარემოებაზე	33
6.3 გავლენა კულტურულ გარემოებაზე	37
6.3.1 კულტურული მემკვიდრეობის მოკლე მიმოხილვა საქართველოში მიმდინარე სამუშაოების არეალში	38
7. მონივრული სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და საერთაშორისო კრედიტის კაბეგორიზაცია	43
7.1 წიაღისეულის “პასუხისმგებლიანი მოპოვება”	43
7.2 სამთო მოპოვებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონები	43
7.3 კორკორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	44
7.4 საერთაშორისო კანონმდებლობა	44
7.5 პასუხისმგებლიანი ბიზნესის საერთაშორისო სხეულმნიშვნელო დოკუმენტები	45
7.6 ლიცენზირება და აღსრულება	47

7.6.1 მიწათსარგებლობის დაგეგმვა და წიაღისეულთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგიები	47
7.6.2 ლიცენზირების პროცესი	47
7.7 სამთო სამუშაოების დაგეგმვა	47
7.8 კულტურული მემკვიდრეობა	49
7.9 სამთო სამუშაოების საუკეთესო პრაქტიკა	50
7.9.1 სტრატეგიული-ეკონომიკური და შრომის პირობები	50
7.9.2 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება	50
7.9.3 დასაქმების პირობები	51
7.9.4 შრომა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	51
7.10 წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება	51
7.10.1 წყლის გამოყენება და მისი დაბინძურება	51
7.10.2 ნარჩენები	52
7.10.3 ხმაური და ჰაერის დაბინძურება	54
7.10.4 ხმაური	54
7.10.5 ჰაერი	54
7.11 საბადოს დახურვა და ტერიტორიის აღდგენა	55
7.11.1 საბადოს დახურვა	55
7.11.2 ფინანსური გარანტიები	55
7.12 დაინდერესებული მხარეების უფლებები/ჩართულობა	56
7.12.1 დაინდერესებული მხარეების ჩართულობა	56
7.12.2 დაინდერესებული მხარეების ჩართულობის მომზადება	56
7.12.3 ჩართულობა, კონსულტაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	56
7.12.4 პოტენციალის აბაღლება	57
7.12.5 საჩივრები	57
7.12.6 გამჭვირვალობა და ანგარიშგება	57
7.12.7 ფინანსური ანგარიშგება	57
7.13 შიდა და გარე კონტროლის მექანიზმები	58
8. უსუსხისმგებლიანი სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ხარჯსარგებლიანობის ანალიზი	59
8.1 დასაქმებულთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება (შრომის დაცვა)	59
8.1.2 გაუმჯობესებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უპირატესობა	60
8.1.3 პროფესიული ტრავმების შემცირების პოტენციური პერსპექტივები	62
8.1.4 ფატალური სასახურებრივი ტრავმების მოსალოდნელი შემცირებით მიღებული მოგება	63
8.1.5 არაფატალური სასახურებრივი ტრავმების მოსალოდნელი შემცირებით მიღებული მოგება	63
8.2 გამჭვირვალობის ზრდით მიღებული მოგება	64
8.2.1 გამჭვირვალობის გაუმჯობესების ხარჯები	65
8.3. ფუფი ქანების, კუდსაცავებისა და მძვრის კონტროლი	65
8.3.1 მალბარების ნარჩენების მართვის გაუმჯობესების უპირატესობები	65
8.3.2 ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ხარჯები	65
9. არსებული პრობლემები და რეკომენდაციები	67
10. დასკვნა	70

შესავალი

სამთო-მოპოვებითი მრეწველობა მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში. იგი ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების ინფრასტრუქტურულ განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას და ზრდის სახელმწიფო შემოსავლების დივერსიფიცირების შესაძლებლობას.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში სამთო - მოპოვებითი მრეწველობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. მოპოვებული წიაღისეულიდან უნდა აღინიშნოს პოლიმეტალები, მარგანეცი, ქვანახშირი, ნავთობი, ბარიტი, დარიშხანი, დიატომიტი, ბენტონიტური თიხები საცემენტე ნედლეული და სხვ., რაც ხელსაყრელ საფუძველს ქმნიდა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველოში, ზოგადად, მრეწველობის და მათ შორის სამთო-მოპოვებითი მრეწველობის დეგრადაცია მოჰყვა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთავრობების მხრიდან ადგილი ჰქონდა დარგის რეფორმირების რამდენიმე ინიციატივას, მაგრამ ეს ინიციატივები წარუმატებელი აღმოჩნდა. არ მოხდა აღნიშნული დარგის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2013 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, შესაძლოა, გახდეს წიაღის მოპოვებისა და გადამამუშავების დარგში მნიშვნელოვანი ცვლილებების სტიმული.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის თანამედროვე და სამომავლო ეკონომიკური ზემოქმედების რისკი ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ - ეკონომიკურ გარემოზე. სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს, ან არაეფექტიანია წიაღისეულის მოპოვებასა და მის გადამამუშავებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირების ინსტრუმენტები. უარყოფითი ზემოქმედების რისკები დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებასთან. წიაღის მოპოვების არეალის გარშემო - სხვა ტიპის ეკონომიკური საქმიანობების (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სხვ.) განხორციელების შეზღუდვასთან, რელიეფის დეგრადაციასთან, ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურებასთან, ფლორისა და ფაუნის მნიშვნელოვანი სახეობების განადგურებასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებასთან ან განადგურებასთან და ა.შ.

ასეთი ვითარების გამოძახილია ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე საზოგადოების მხრიდან მეტ - ნაკლებად ხმაურიანი რეაგირება, გამოსვლები, საჩივრები სასამართლოში და სხვ.

წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სამთო - მოპოვებითი მრეწველობის დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების შედეგების გათვალისწინებით. ნაშრომის მიზანია, დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მიდგომებისა და პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების, საქართველოში მრეწველობის ამ დარგის განვითარების ისტორიული და თანამედროვე განვითარების ტენდენციების, მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური ჩარჩოს შესახებ.

ანგარიში შედგება ცხრა თავისაგან. პირველ თავში წარმოდგენილია საქართველოში სამთო - მოპოვებითი მრეწველობის განვითარების ისტორია. მეორე თავში აღწერილია საქართველოს სამთო - მოპოვებითი ინდუსტრიის საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური მოწყობა. მესამე თავში მოცემულია ინფორმაცია საქართველოში მოქმედი საერთაშორისო განვითარებისა და საფინანსო ორგანიზაციებისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების კატეგორიზაციის შესახებ. მეოთხე თავში წარმოდგენილია საქართველოში წიაღის მოპოვების შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემები.

2014 წლის „საქსტანდარტის“ მონაცემებით, საქართველოში სამთო-მოპოვებით სექტორში დასაქმებულია 6,115 ადამიანი, რაც მრეწველობაში მთლიანად დასაქმებული ადამიანების 5.8 % - ს წარმოადგენს.

მესუთე და მეექვსე თავებში აღწერილია აღნიშნული დარგის ფუნქციონირების გავლენა სოციალურ - ეკონომიკურ, ბუნებრივ და კულტურულ გარემოზე. მეშვიდე თავი ეთმობა სამთო - მოპოვებითი მრეწველობის სწორი მიმართულებით განვითარების აღწერას. ამავე თავში განხილულია საერთაშორისო პოლიტიკა და რეგულაციები, რომლებიც დაკავშირებულია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ეფექტიან მართვასთან. მერვე თავში წარმოდგენილია საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ხარჯ - ეფექტიანობის ანალიზის შედეგები. ანგარიშის ბოლოს მოცემულია სექტორული ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ჩამონათვალი.



1. საქართველოს სასარგებლო წიაღისეული და მისი მოპოვება - გადამუშავების ისტორია

1.1 წიაღისეულის რესურსების მოკლე აღწერა

საქართველოს ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით აგებულია ასაკობრივად საკმაოდ დიდი დიაპაზონისა და სრულიად განსხვავებული გენერაციის ქანებით. საქართველოს საზღვრებში (ისევე, როგორც მთლიანად კავკასიაში) გეოლოგიური სტრუქტურების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა გეოდინამიკური პროცესების (ტექტონიკა, მაგმატიზმი, მიწისძვრები და სხვ.) ინტენსიური გამოვლინების ფონზე, რაც განაპირობებდა მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეულის წარმოქმნას. საქართველოს ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, მის საზღვრებში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის წიაღისეული. კერძოდ, ლითონური წიაღისეულიდან - ოქრო, სპილენძი, ტყვია, თუთია, მარგანეცი, ალუმინი, დარიშხანი, ანთიმონიტი; არალითონური წიაღისეულიდან - ბარიტი, ცეოლითები, ბენტონიტური თიხები, დიატომიტი, კერამიკული ნედლეული, მოსაპირკეთებელი ქვები, სანახელო ქვები და სამშენებლო მასალები. საქართველოს ტერიტორიაზე არის ქვანახშირის, ნავთობის, გაზისა და თერმული წყლების საბადოები, ასევე მაღალი ხარისხის მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების დიდი მარაგები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გამოვლენილი წიაღისეულის მარაგები რიგ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს საბადოს მოთხოვნილებებს, რაც წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას და დაკავშირებულია წიაღისეულის მარაგის ეკონომიკურ ღირებულებასთან.

1.2 საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ისტორიის მიმოხილვა

საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება - გადამუშავებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ჯერ კიდევ პალეოლითში (ძვ. ქვის ხანა), ადამიანი სხვადასხვა მინერალს მოიპოვებდა და იყენებდა (კაპი, ბაზალტი, ობსიდიანი, ანდეზიტი, იაშმა, კალცედონი, კირქვა, ქვიშაქვა და სხვ.). პრეისტორიის ამ უძველეს წიაღისეულის მოპოვება ადამიანისთვის საჭირო მინერალების მხოლოდ ძებნითა და შეგროვებით შემოიფარგლებოდა.

მეზოლითის ხანიდან (დაახლ. 10 - 12 ათასი წლის წინანდელი პერიოდი) კაუჩისა და ობსიდიანის ბუნებრივ გაშიშვლებებთან ახლოს აღმოჩენილია სახელოსნოების ნაშთები, სადაც ამ ქანებიდან იარაღს ამზადებდნენ (ასეთი სახელოსნოები შესწავლილია აფხაზეთში, აჭარაში, ზემო იმერეთში, კახეთში, ჭავჭავაძეთში).

ნეოლით - ენეოლითის ხანაში (ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები), როდესაც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც ჩნდება პირველი სამიწათმოქმედო საზოგადოებები, ზემოთ აღნიშნული მინერალების გარდა, დაიწყეს თიხის გამოყენება, როგორც სამშენებლოდ, ასევე კერამიკული ნივთების დასამზადებლად.



სწორედ ამ ადრესამინათმოქმედო კულტურათა ძეგლებზე პირველად ფიქსირდება ლითონის (სპილენძის) ნაკეთობები. თუმცა არ არის ცნობილი, ეს ნაკეთობები მზადდებოდა თვითნაბადი სპილენძიდან, თუ ამ ლითონს უკვე სამთო-გადასამუშავებელი წესით მოიპოვებდნენ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველო, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიასთან (თურქეთი) და ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანთან ერთად, მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების უძველეს კერად მიიჩნევა. თუ დღეისათვის ყველაზე ძველი სპილენძის ნივთები აღმოჩენილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ანატოლიის ძვ.წ. IX - VII ათასწლეულების არაკერამიკული ნეოლითის ძეგლებზე (აშიკლი ჰუიუკი, ჩაიონიუ თეპესი), ბრინჯაოს (სპილენძისა და კალის შენადნობი) უძველესი ნაკეთობები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ.წ. VI-IV ათასწლეულების დროინდელ ნასახლარებზე (არუხლო, დელისი და სხვ.).

საყდრისი-ყაჩაღიანის მალაროსა და მასთან ასოცირებული ნასახლარი-სახელოსნოს (ძეგლები) არქეოლოგიურმა კვლევამ (იხ. ქვემოთ) მეცნიერებს მისცა საბაბი, ევარაუდათ, რომ ოქროს სამთო წესით მოპოვების უადრესი (ჩვ. წ - მდე IV-III ათასწლ.) კერაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა. როგორც არქეოლოგიური მონაცემები, ასევე წერილობითი წყაროები და მითოლოგიური სიუჟეტები მიუთითებენ იმაზე, რომ თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მეტალურგი ტომები (ხალიბები, მოსინიკები), რომლებიც უძველესი დროიდან მისდევდნენ რკინა-ფოლადის წარმოებას.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია 200 - ზე მეტი სპილენძის, დარიშხანის, ანთიმონისა და პოლიმეტალური საბადოები და მათი ზედაპირული გამოვლინებები. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, კახეთი) და მცირე კავკასიონზე (ბოლნისი-დმანისი, აჭარა-გურია) არსებულ თითქმის ყველა უმთავრეს საბადოზე აღმოჩენილია წარსულში მადნის მოპოვებისა და დამუშავების კვალი.

საქართველოში სამრეწველო დანიშნულების სამთო-მოპოვებითი საქმიანობის დაწყება 1846 წელს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ექსპლუატაციაში შესვლასთან არის დაკავშირებული (საბადო აღმოჩენილ იქნა 1825 წელს). 1879 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ქიათურის მარგანეცის საბადო. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან რუსმა ინჟინრებმა დაიწყეს საქართველოს წიაღისეულის შესწავლა. ამასთან ერთად, ისინი მდ. ენგურის აუზის შუა და ზემონელში ქვიშის რეცხვით აწარმოებდნენ ოქროს მოპოვებას. 1861 წელს ზემო სვანეთში, სოფ. იელთან, ვ. გოლიევის მიერ აღმოჩენილ იქნა ოქროს ყველაზე დიდი თვითნაბადი ზოდი, რომელიც 365 გრამს იწონიდა.

ქართველმა ქიმიკოსმა, პეტრე ბაგრატიონმა, 1845 წელს დაადგინა, რომ ოქრო ბუნებრივ ტემპერატურულ პირობებში იხსნება კალიციანიდების მუავაში. ამ აღმოჩენის მეშვეობით მოხერხდა ოქროს გამოყოფა მისი შემცველი მადნებიდან, რამაც მთლიანად შეცვალა ოქროს მოპოვების მანამდე დამკვიდრებული ტექნოლოგია. პეტრე ბაგრატიონის მეთოდი გამოიყენება ამჟამად ოქროსა და სხვა მეტალების (პირველ რიგში - ვერცხლისა და სპილენძის)



სამთო-მოპოვებით წარმოებაში, მათ შორის - კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში.

XX საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა წიაღისეულის მრავალი პუნქტი: ცანასა (მდ. ცხენისწყლის აუზი - ლენტეხის მუნიციპალიტეტი) და ურავის (მდ. რიონის მარჯვენა შენაკად ლუხუნისწყლის აუზი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) დარიშხანის საბადოები; კვაისას (მდ. რიონის მარცხენა შენაკადის ჯეჯორას აუზი) პოლიმეტალების საბადო; სამგორ-პატარძელის, ნორიოს, საცხენისის, შირაქის, ტარიბანას, მირზაანის და სხვ. ნავთობის საბადოები; გაისსნა ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტები და სხვ.

1.3 საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარების დინამიკა

1.3.1 მყარი წიაღისეული

როგორც აღინიშნა, საქართველოში ინდუსტრიული დანიშნულების სამთო-მოპოვებითი მრეწველობა მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა წლებში ჩაისახა, როცა დაიწყო ტყიბული ქვანახშირის მოპოვება (1846 წელი). ტყიბულში ქვანახშირის საბადოს ექსპლუატაციის დაწყების შემდეგ, 1879 წელს, დაიწყო საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის, ჭიათურის მარგანეცის საბადოს, დამუშავება. აღსანიშნავია, რომ ჭიათურის მანგანუმის საბადო ერთადერთია საქართველოში, რომელიც ეკუთვნოდა „მსოფლიო კლასის“ საბადოთა რიგს. სხვა მნიშვნელოვანი საბადოები მე-19 საუკუნეში არ დამუშავებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამშენებლო ქვების მოპოვებას. ინგლისურმა კომპანიამ 1917 წელს დაიწყო ართანის (კახეთის

კავკასიონი) სპილენძ-კოლჩედანური საბადოს შესწავლა-მოპოვება. კომპანიას აქ მოპოვებული მადანი, როგორც სპილენძის კონცენტრატი, ფოთის პორტიდან გაჰქონდა ინგლისში.

მე - 20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ინტენსიური განვითარება. ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც გაჰქონდათ საქართველოდან, იყო ჭიათურის მარგანეცი. აღსანიშნავია, რომ მე - 20 საუკუნის 90-იან წლებამდე მსოფლიოში მარგანეცის მოპოვების 40% ჭიათურის საბადოზე მოდიოდა, ხოლო მისი წლიური ექსპორტის ღირებულება საქართველოს წლიური ეროვნული ბიუჯეტის 75-80% - ს შეადგენდა. მე-20 საუკუნის ბოლოს მსოფლიოში აღმოჩენილ იქნა მანგანუმის მნიშვნელოვანი საბადოები (ცენტრალური აფრიკა, ბრაზილია), რამაც საგრძნობლად შეამცირა საერთაშორისო ბაზარზე ჭიათურის მარგანეცის ფასი.

მე-20 საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობდა აგრეთვე ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში, ტყვარჩელში, ვალეში (მურა ნახშირის), ბარითისა - ჩორდის საბადოდან. აღსანიშნავია, რომ ჩორდის თეთრი ბარიტი თავისი ხარისხით საუკეთესო, ხოლო მარაგებით მესამე საბადო იყო საბჭოთა კავშირში. ამავე პერიოდში საქართველოში ზოფხიტოს მაღალი ხარისხის საბადოდან ინტენსიურად მოიპოვებოდა მეტალური დარიშხანი, რომელიც იგზავნებდა უკრაინაში, სადაც მას იყენებდნენ ელექტრომრეწველობაში.

1975 წლიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო ამიერკავკასიაში ფერადი ლითონების გამდიდრების ერთ-ერთმა უდიდესმა - მადნეულის (კაზრეთის) - კომბინატმა (ბოლნისის მუნიციპალიტეტი). ეს კომბინატი



ამუშავებდა მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს მადნებს. გამდიდრებული მადნები ფერადი ლითონების მისაღებად გაჰქონდათ ურალში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (დაშქესანის კომბინატი). მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს მადნები ოქროსაც შეიცავდნენ (1 გ/ტ).

მე - 20 საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობა 45 დასახელების მყარ წიაღისეულს მოიპოვებდა, რომელთა საერთო წილი ქვეყნის ეკონომიკაში 20-22% - ს შეადგენდა. ამ დარგში დასაქმებული იყო 37-40 ათასი ადამიანი (მატარაძე და სხვ., 2010).

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამთო-მოპოვებითი მრეწველობა მძიმე კრიზისში აღმოჩნდა, ამ პერიოდში ამ მიმართულებების თითქმის ყველა საწარმო გაჩერდა.

1996 წელს წიაღის შესახებ მიღებულმა კანონმა შექმნა მინერალური რესურსებით სარგებლობის საკანონმდებლო ბაზა, რამაც სამთო საწარმოების მუშაობის იურიდიული საფუძვლები გააჩინა. ამ პერიოდიდან გაიზარდა ინვესტორების დაინტერესება საქართველოს წიაღისეულისადმი, თუმცა ეს შეეხებოდა, ძირითადად, ოქროს, ნავთობს, მარგანეცსა და მინერალურ წყლებს. 2012 წელს თურქ ინვესტორებზე გაიცა ლიცენზია და 2013 წელს ამუშავდა ჩორდის ბარიტის საბადო.

ამჟამად საქართველოში მოქმედი სამთო-მოპოვებითი საწარმოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მადნეულის ოქრო-პოლიმეტალების, ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულის ქვანახშირისა და ჩორდის ბარიტის საბადოები (იხ. დანართი 02).

1.3.2 ნავთობი და გაზი

საქართველოში სამრეწველო ნავთობის მოპოვება XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო და იმავე საუკუნის 80-იან წლებამდე მიმდინარეობდა. მცირე სიმძლავრის საბადოებზე (მირზაანი, პატარა შირაქი, სუფსა, ნორიო, საცხენისი, ტარიბანა და აღმ. ჭალადიდი) წლიურად მოპოვებული ნავთობის რაოდენობა საშუალოდ 20-55 ათას ტონას შეადგენდა. 1973 წელს გაიხსნა მაღალდებიტიანი საბადოები თბილისთან მიმდებარე რაიონში (სამგორი-პატარძელი-ნინოწმინდა, სამგორის სამხრეთი თალი, თელეთი), რის შედეგადაც ნავთობის წლიურმა მოპოვებამ 3 მლნ.ტ-ს გადააჭარბა (1984 წელს მოპოვებულ იქნა 3.3 მილიონი ტონა ნავთობი). სულ 70-იან და 80-იან წლებში საქართველოში მოპოვებულ იქნა 27 მილიონი ტონა ნავთობი, რომლის საერთო ღირებულება, ამჟამინდელი ფასებით, 23 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა. არასწორი ექსპლუატაციის შედეგად (მაღალი წნევის რეჟიმში მუშაობა) ამ საბადოებმა განყოფილება განიცადეს, დაეცა მათი ხარისხი და ნავთობის მოპოვებამ იკლო. ამას დაერთო 1989 წლიდან ქვეყანაში არასტაბილური

პოლიტიკური მდგომარეობა და ნავთობის მოპოვება, პრაქტიკულად, შეჩერდა.

ნავთობის მოპოვება 1995 წელს განახლდა და მისი მოპოვება 1997 წელს 130,5 ათას ტონამდე გაიზარდა, შემდეგ წლებში ნავთობის მოპოვებამ კლება დაიწყო. 2000 წელს ნავთობის მოპოვება 110 ათას ტონამდე დაეცა, 2001 წელს - 100 ათას ტონამდე, ხოლო 2002 წელს - 78 ათას ტონამდე, თუმცა მისმა მოპოვებამ 2003 წელს 140 ათას ტონას მიაღწია. 2004 წლიდან ნავთობის მოპოვება კვლავ იკლებს და 50 ათასი ტონის ნიშნულის ფარგლებში მერყეობს: 2004 წ. - 100 ათასი ტონა; 2005 წ. - 58 ათასი ტონა; 2006 წ. - 55 ათასი ტონა; 2007 წ. - 56 ათასი ტონა; 2008 წ. - 52 ათასი ტონა; 2009 წ. - 53 ათასი ტონა; 2010 წ. - 51 ათასი ტონა; 2011 წ. - 49 ათასი ტონა; 2012 წ. - 48 ათასი ტონა; 2013 წ. - 51 ათასი ტონა (საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიხედვით).

საქართველოში გაზის მნიშვნელოვანი მოპოვება 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო და იგი წარმოადგენდა სამგორი-პატარძელის საბადოს ნავთობის მომყოლ (თანმდეგ) გაზს. ნავთობის პიკური მოპოვების პერიოდში (1980-1983 წწ.) ასეთი გზით გაზის წლიური მოპოვება 300 მლნ. მ³-ს აღწევდა. რაც შეეხება თავისუფალ გაზს, მისი მოპოვება 1983 წელს დაიწყო, როდესაც რუსთავის გაზის საბადო აღმოაჩინეს. მოგვიანებით თავისუფალი და მომყოლი გაზის მოპოვება გაგრძელდა ნინოწმინდის უბანზეც, სადაც ეს პროცესი ამჟამადც მიმდინარეობს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზის წლიური მოპოვება საქართველოში საშუალოდ 16.5 მლნ. მ³-ს შეადგენს. სულ საქართველოში მოპოვებულია 2.8 მლრდ. მ³ გაზი, საიდანაც თავისუფალი გაზის რაოდენობა 552.8 მლნ. მ³-ს შეადგენს. საქართველოში დღეისათვის გაზის მოპოვებითი სამუშაოები მხოლოდ მცირე რაოდენობით ხორციელდება.

ამჟამად საქართველოში ნავთობის თექვსმეტი და გაზის ორი საბადო ფუნქციონირებს. გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების მიხედვით, საქართველოში ნავთობის მარაგის მთლიანი მოცულობა 2,4 მილიარდ ტონას შეადგენს. აქედან 1,15 მილიარდი ტონა ნავთობი, სავარაუდოდ, შავი ზღვის აუზშია განთავსებული. საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ბუნებრივი გაზის მარაგის სავარაუდო მოცულობა 180 მლრდ. მ³-ია (ვარშალომიძე, 2008).





2. საქართველოს სამთო - მოპოვებითი ინდუსტრიის საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო ინსტიტუციური მოწყობა

2.1 ეროვნული საკანონმდებლო ბაზა

2.1.1 საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 37, პუნქტი 3: „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს“. შესაბამისად, ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო დოკუმენტი განსაზღვრავს სამთო-მოპოვებითი მრეწველობისათვის სამოქმედო პრინციპებს.

მუხლი 34, პუნქტი 2: „საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია, ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“.

2.1.2 საქართველოს კანონი წიაღის შესახებ

სამთო-მოპოვებითი მრეწველობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმატიულ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი კანონი, რომელიც პირდაპირ ეხება წიაღის მოპოვებას საქართველოში, არის 1996 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი წიაღის შესახებ. კანონის თანახმად, „წიაღი არის დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც გაშიშვლებულია მიწის ზედაპირზე, ან მდებარეობს წიაღის ფენებსა და წყალსატევში, აგრეთვე წიაღის ფენისა და წყალსატევის ფსკერის ქვეშ და ხელმისაწვდომია შესწავლისა და ათვისებისათვის“. ხოლო სასარგებლო წიაღისეული არის „წიაღისეული, რომლის მოპოვება და გადამუშავება შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზე, ეკონომიკურად მიზანშეწონილია და ეკოლოგიურად მისაღები“. მოცემული კანონის მიზანია, უზრუნველყოს წიაღისა და სასარგებლო წიაღისეულის რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივი კანონზომიერებისა და გარემოს პოტენციური შესაძლებლობების, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

2.1.3 საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ

წიაღის შესახებ კანონთან კავშირშია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი, რომელიც უფრო აკონკრეტებს ლიცენზიის გაცემის პირობებს. ზოგადად, კანონი „წიაღის შესახებ“ არის ის ნორმატიული აქტი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს წიაღით სარგებლობას, წიაღით მოსარგებლის უფლებებსა და მოვალეობებს, სახელმწიფოს როლს წიაღის მოპოვებაში, წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნებს,

ზიანის ანაზღაურებას და ა.შ. ამავე მიზნებს ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დადგენილება N 136 (2005 წ. 11 აგვისტო) საქართველოს წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

2.1.4 საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ

1996 წლის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (მასში შეტანილი 15 ცვლილებით) წარმოადგენს ჩარჩოს საქართველოს ეკოლოგიური კანონმდებლობისათვის და, ამდენად, ფარავს ყველა იმ სფეროს, რომელიც ნებისმიერი სახით კავშირშია ეკოლოგიურ გარემოსთან. აღნიშნული კანონის ძირითადი მიზანია, დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები. კანონის მიზანია აგრეთვე, დაიცვას და შეინარჩუნოს ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემო; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს მაგნე ზემოქმედებისგან დაცვა; სამართლებრივად უზრუნველყოს საზოგადოების გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

2.1.5 საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

კანონი მიღებულია 2008 წელს. კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, არქეოლოგიური მემკვიდრეობის, დაცვა - შენარჩუნების საკითხები, რომლებიც ეხება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობასა და სამთო-მოპოვებით მრეწველობას, რეგულირებულია ამ კანონის N14 მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია „მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელების აუცილებელი პირობები“.

2.1.6 საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 აგვისტოს დადგენილება N160 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N140 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილება განმარტავს განსაკუთრებული ობიექტების სიას, (მათ შორის - სამთო-მოპოვებით წარმოებასთან დაკავშირებული ობიექტები), რომელთა შემთხვევაშიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელი პირი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარადგინოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის კვლევისა და არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საქართველოს მთავრობის დადგენილება N160 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“).

2.1.7 კულტურული მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული აქტები

- „საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ“ - 2001 წლის 22 ივნისი;

- „საქართველოს კანონი კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ - 2003 წლის 7 მაისი;

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ - 2012 წლის 14 მაისი.

2.1.8 საქართველოს მიერ რატიფიცირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები

- „კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ“ UNESCO, ქ. პარიზი, 1972 წლის 16 ნოემბერი.



საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან;

- „არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია“ (განახლებული). ლა'ვალეტა, 1992 წლის 16 იანვარი. საქართველოსთვის ძალაშია 2000 წლის 23 თებერვლიდან;

- „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია“. გრანადა, 1985 წლის 3 ოქტომბერი. საქართველოსთვის ძალაშია 2000 წლის 23 თებერვლიდან;

- „კონვენცია კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლებების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“. UNESCO, ქ. პარიზი, 1970 წლის 14 ნოემბერი. საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან;

- „კონვენცია სამხედრო მოქმედების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ“. ქ. ჰააგა, 1954 წლის 14 მაისი. საქართველოსთვის ძალაშია 1992 წლის 4 დეკემბრიდან;

- „კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“. პარიზი, UNESCO, 2003 წლის 17 ოქტომბერი. საქართველოსთვის ძალაშია 2008 წლის 18 ივნისიდან.

ევროინტეგრაცია და არსებული საკანონმდებლო ნაკლოვანებები

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 29 ივნისს ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას (რეტიფიკაციის თარიღი: 2014 წლის 18 ივლისი). შეთანხმება დაიდო, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის. დოკუმენტი ავალდებულებს საქართველოს მთავრობას, ქვეყნის სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი სტანდარტები ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტანდარტების შესაბამისი გახადოს. ხელშეკრულების მე - 5 თავის 313-ე მუხლი შეეხება სამრეწველო საწარმოების პოლიტიკასა და სამთო-მოპოვებით საქმიანობას, სადაც ნათქვამია, რომ თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირისა და საქართველოს იმ ბიზნესების ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებენ, და დაეყრდნობა ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.”

გარდა ამისა, შეთანხმებაში ნათქვამია, რომ „საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვაზე, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება. კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავების მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.“

კანონმდებლობა, აღნიშნული ჰარმონიზაციის კუთხით, მნიშვნელოვან შეუსაბამობებს მოიცავს. 2007 წელს მიღებულმა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონმა“ გააუქმა მანამდე არსებული გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ სამართლებრივი აქტი. გარემოს სტრატეგიული შეფასება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საერთოდ არ რეგულირდება, ხოლო მოქმედი კანონის მე-11 მუხლი ითვალისწინებს საწარმოს სრულიად გათავისუფლებას გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან, თუ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესი. თუ რა არის ე.წ. „საერთო - სახელმწიფოებრივი ინტერესი“, კანონში სათანადოდ განმარტებული არ არის.

ქვეყნის მიერ არჩეული და რეტიფიცირებული ევროპული არჩევანის პირობებში მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი იქნება ცვლილებები, რომლებიც ალებული ვალდებულებების სათანადო დაცვის მექანიზმებს შექმნის.

2.2 საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ინსტიტუციური ჩარჩო

2.2.1 სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი ფუნქციები

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ენერჯეტიკის სამინისტროები წარმოადგენენ იმ სახელმწიფო ინსტანციებს, რომელთა პირდაპირი კომპეტენციაც არის სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სექტორში საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი რეგულაციების გატარება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია თითოეული ინსტიტუტის როლისა და ფუნქციების შესახებ:

ცხრილი 1. სახელმწიფო უწყება და ფუნქციები სამთო- მოპოვებითი დარგის რეგულირების კუთხით

უწყება	ფუნქცია
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი სფეროა ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის, მათ შორის - საქართველოს ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნარჩენების მართვისა და ქიმიური უსაფრთხოების, გარემოს დაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი.
გარემოს ეროვნული სააგენტო	წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვა, გეოლოგიურ, გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ, ასევე მიწის რესურსების სახელმწიფო ფონდში საინფორმაციო ფონდის შექმნა და მართვა, ჩატარებული და მიმდინარე საწარმოო და სამეცნიერო გეოლოგიური სამუშაოების აღრიცხვა და რეგისტრაცია, სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა და გამოვლინებების აღრიცხვა, სახელმწიფო ბალანსისა და საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი განახლება. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზის) სარგებლობისათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემისა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია.
მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური	მიწის რესურსებისა და წიაღის მდგრადი მართვისა და მიზნობრივი გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა, გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის პროცესის შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა, დაბინძურებული მიწების მონაცემთა ბაზის შექმნა და დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობა, დაბინძურების შეფასების სისტემის ჩამოყალიბება, წიაღისეულის ჯგუფების განსაზღვრაში მონაწილეობა, წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემის შეთანხმებაში მონაწილეობა.
მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ევალება სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ნავთობისა და გაზის) მარაგების დამტკიცება და სახელმწიფო ბალანსზე აყვანა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სსიპ “გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი”

სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების მაღალმწარმოებლური, უსაფრთხო ტექნოლოგიების დამუშავება; კარიერის ფერდების მდგრადობის კვლევა; ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერებების შექმნა და საამფეთქებლო სამუშაოების ტექნოლოგიების სრულყოფა; მასიური აფეთქებით გამოწვეული სეისმური ეფექტის კვლევა და საინჟინრო ნაგებობებზე მისი ზემოქმედების შემცირების ხერხების შემუშავება; აგრეთვე, ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოების კომპიუტერული პროგრამების შემუშავება; აფეთქებითი ლითონების დამუშავება; ადამიანებისა და სამთო ობიექტების აფეთქების ზემოქმედებისაგან დაცვის სისტემების შემუშავება; ქანებისა და საშენი მასალების თვისებების მახასიათებელთა დადგენა და ხარისხის კონტროლი; ახალი ბგერაჩამხშობი და დაბალი თბოგამტარობის მქონე ხელოვნური სამშენებლო მასალების ტექნოლოგიების შემუშავება; მადანთა და მათი გამდიდრების პროდუქტების ქიმიური ანალიზი; წყლისა და ნიადაგის ანალიზი (მიკრობიოლოგიურის გარდა); მეტალური და არამეტალური სასარგებლო წიაღისეულის ტექნოლოგიური ტესტირება გამდიდრების მექანიკური (გრაფიტაცია, მაგნიტური და ელექტროსტატიკური სეპარაცია, ფლოტაცია) და ქიმიური (ჰიდრომეტალურგია) მეთოდებით, საბადოს ეკონომიკური პოტენციალის შეფასების მიზნით; სამთო მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემები.

ენერგეტიკის სამინისტრო

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

საინვესტიციო ფართობის შერჩევა და ინვესტორთან ხელშეკრულების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; სატენდერო პირობებისა და აუქციონის წესების შემუშავება, ტენდერებისა და აუქციონების ორგანიზება, ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა. სახელმწიფოს სახელით ინვესტორისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ლიცენზიების გაცემა; ყველა საჭირო უფლებამოსილების, მინაკუთვნის, ნებართვის, სერტიფიკატის დამტკიცება და გაცემა სახელმწიფოს სახელით ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა; ყველა საჭირო ნებართვის გაცემა და ფონდის დამტკიცება.

2.2.2 უწყებათაშორისი თანამშრომლობა

ზემოხსენებული სამინისტროები, ისევე, როგორც სხვა სამთავრობო სტრუქტურები, ვალდებული არიან, ყოველ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მათი კომპეტენციისა და უფლებამოსილების გათვალისწინებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან როგორც მათ განკარგულებაში მყოფი ადამიანური რესურსებით, ასევე მატერიალურ - ტექნიკური ბაზის თვალსაზრისითაც. სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით ადმინისტრაციული რესურსების (უწყებათაშორისი) ინტეგრირებული მართვის ან შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღების ნაკლებად ეფექტიან ან სრულიად არაეფექტიან შემთხვევებს. მაგალითად, 2013 წლის მაისში მცხეთა - მთიანეთის რეგიონში

გუდაური - კობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ისე დაგეგმა შესაბამისი სამუშაოები, რომ დააზიანა ტრავერტინები, რომელთაც, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ბუნების ძეგლის სტატუსი უნდა მიენიჭოს. ეს ფაქტი ნათლად წარმოაჩინეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის (ამ შემთხვევაში) თანამშრომლობის არაეფექტიან თანამშრომლობის მაგალითს.



3. საქართველოში მოქმედი საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციები და განვითარების პროექტების კატეგორიზაცია

საქართველოში მოქმედი საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე: მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 1994 წლიდან 2014 წლამდე განხორციელდა 2 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების პროექტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით 1996 წლიდან დღემდე - 1,989 მლნ. ევროს ღირებულების პროექტი, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით 2007 წლიდან დღემდე - 1,357 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პროექტი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის დაფინანსებით 2007 წლიდან დღემდე - 235,297,757 ევროს ღირებულების პროექტები, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს დაფინანსებით 1992 წლიდან დღემდე - 1,5 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების პროექტები, ევროპის კავშირმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს 2007 წლიდან დღემდე გამოუყო დაახლოებით 400 მლნ. ევროს ღირებულების ფინანსური დახმარება. საქართველოსთვის პრიორიტეტული სფეროები, სადაც აღნიშნული პროექტები განხორციელდა, არის ენერჯეტიკა, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, ინსტიტუციური და მუნიციპალური განვითარება, დემოკრატიის განმტკიცება, გარემოს დაცვა.

თითოეულ ზემოხსენებულ ინსტიტუციას აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა, პოლიტიკის ფარგლებში განერილი მიზნები და სამოქმედო გეგმები. ამ კუთხით, განვითარების ორგანიზაციების მიდგომა არის, ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების პარალელურად უზრუნველყოფილ იქნეს ეკონომიკის განვითარება გარემოსა და საზოგადოების მინიმალური ზიანის ხარჯზე. შესაბამისად, ნებისმიერი პროექტი, რაც შეიძლება, ადრეულ ეტაპზე უნდა შეფასდეს, მისი საქმიანობის ეკოლოგიური და სოციალური რისკების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნეს ყველა დაინტერესებული მხარის (ადაშიანების, ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების) მაქსიმალური მონაწილეობა. მიჩნეულია, რომ ასეთი „თანამონაწილეობრივი“ პრინციპით განხორციელებული ეკონომიკური ხელშეწყობის პროცესები ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობისა და მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრის მდგრადი საფუძველია.

კონკრეტულ პროექტებში გარემოსდაცვითი და სოციალური კრიტერიუმების ინტეგრაციის მიზნით ზემოხსენებული საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციები, ზოგადად, ახდენენ პროექტების შემდგენიერ კატეგორიზაციას:

• კატეგორია A მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომლებიც პოტენციურად მნიშვნელოვან უკუზღვავლენას მოახდენენ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე (მაგ.: ფართო სამთო-



მოპოვებითი საქმიანობა, მსხვილი ენერჯო და ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვ.). მათ დასჭირდებათ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების დეტალური შეფასება.

• კატეგორია B - ში მოხვდებიან ისეთი პროექტები, რომელთა მომავალი გარემოსდაცვითი და სოციალური უკუზღვრავლენა დამოკიდებულია მდებარეობის სპეციფიკაზე. შესაბამისად, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნები დამოკიდებულია თითოეული პროექტის ხასიათზე და ეს პროცედურა დონორის მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე განისაზღვრება.

• კატეგორია C - ს მიეკუთვნებიან ისეთი პროექტები, რომლებსაც მინიმალური ან არანაირი უკუზღვრავლენა არ ექნებათ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და გარემოს მარტივი და სოციალური შეფასებით შემოიფარგლება.

კატეგორიზაციის ძირითადი მიზანია, განისაზღვროს, თუ რა სახისა და სიღრმის, გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები სჭირდება ამა თუ იმ პროექტს, რა სახის ინფორმაციის გავრცელება და დაინტერესებულ პირთა ჩართულობა აუცილებელია.

კატეგორიზაციის კრიტერიუმები შემდეგია: პროექტის ხასიათი, მდებარეობა, სენსიტიურობა, მასშტაბი; აგრეთვე მისი მომავალი ზეგავლენის ხარისხი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. კატეგორიზაციის მიუხედავად მოხდება ყველა პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, წარსული და მიმდინარე ზეგავლენის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის წარმომადგენლებიდან არც ერთს არ გააჩნია საერთაშორისო სტანდარტებით პროექტირების, ოპერირებისა და საზოგადოების ჩართულობის არანაირი პრაქტიკა.

საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ბანკითრების ორგანიზაციები

მსოფლიო ბანკი (World Bank - WB)

მსოფლიო ბანკის ჯგუფი დაარსდა 1944 წელს. მისი შტაბბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ). ბანკში 10 000 - ზე მეტი მომსახურე პერსონალია და მისი ოფისები 120 - ზე მეტ ქვეყანაში ფუნქციონირებენ. ეს ჯგუფი მოიცავს 5 ინსტიტუციას, რომლებიც იმართებიან მათი წევრი ქვეყნების მიერ. ესენია: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიების სააგენტო (MIGA), სადავო ინვესტიციების საერთაშორისო მოგვარების ცენტრი (ICSID).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (European Bank for Reconstruction and Development - EBRD)

შეიქმნა 1991 წელს. ბანკი უდიდესი ფინანსური ინვესტორია თავის სამოქმედო რეგიონში, რომელიც ვრცელდება ცენტრალური ევროპიდან ცენტრალურ აზიამდე და სამხრეთ ხმელთაშუა ზღვიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვამდე. მისი მიზანია ამ რეგიონის ქვეყნებში ღია საბაზრო

ეკონომიკების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა. ბანკის მფლობელები არიან ევროკავშირი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და 64 ქვეყანა.

აზიის განვითარების ბანკი (Asian Development Bank - ADB)

შექმნა 1966 წელს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მოსახლეობის (დაახლოებით 1.6 მლრდ.) საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ბანკის ინვესტიციები ძირითადად მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრისკენ რეგიონში და ისეთი გარემო პირობების შექმნისაკენ, სადაც ყველას ექნება შესაძლებლობა, სარგებელი მიიღოს მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდით. ADB-ის ინვესტიციები ძირითადად კონცენტრირებულია ზემოხსენებული რეგიონების ინფრასტრუქტურის, ჯანმრთელობის დაცვის, საჯარო ადმინისტრირების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარების სექტორებში და ეხმარება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებად ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკების ერთმანეთთან და მსოფლიო ეკონომიკაში ეფექტიან ინტეგრირებაში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)

არის ერთ - ერთი ლიდერი მდგრადი განვითარების ხელშეწყობი ინსტიტუცია მსოფლიოში. KfW ჯგუფის შექმნა მჭიდრო კავშირშია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებასთან. მისი დაარსების დღიდან, 1948 წლიდან, KfW ხელს უწყობს პროგრესული იდეების განვითარებას გერმანიაში, ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში. ამ მიზნით ბანკმა დაახლოებით 1 ტრილიონი ევროს ოდენობის სესხი გამოყო 65 წლის განმავლობაში. ბანკი გერმანიის ფედერალური მთავრობის მფლობელობაშია და ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ექსპორტის ხელშეწყობაზე, ბუნებრივი გარემოს დაცვასა და, ზოგადად, მდგრადი განვითარების წახალისებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო (United States Agency for International Development - USAID)

არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სააგენტო, რომელიც მუშაობს გლობალური სიღარიბის აღმოფხვრისა და მსოფლიოში მდგრადი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის. სააგენტო შეიქმნა 1961 წელს აშშ - ს პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის ინიციატივით. USAID ატარებს აშშ - ის ფართომასშტაბიან საგარეო პოლიტიკას. ამავე დროს აფართოებს სტაბილურ, თავისუფალ საზოგადოებებს, აშშ-ისთვის აყალიბებს ბაზრებს და ეძებს ახალ სავაჭრო პარტნიორებს. ხარჯავს რა აშშ-ის მთლიანი ფედერალური ბიუჯეტის 1% - ზე ნაკლებს, USAID 100 - ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს.

ევროპის კავშირი (European Union - EU)

ევროპის კავშირი 28 წევრი ქვეყნისგან შემდგარი პოლიტიკურ - ეკონომიკური კავშირია, რომელიც, ძირითადად, ევრაზიის კონტინენტის ევროპის ნაწილშია განლაგებული. ევროკავშირის მოსახლეობა 500 მლნ - ზე მეტ ადამიანს შეადგენს (2013წ.) და მე - 3 ადგილს იკავებს მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. მისი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 18 451 ტრილიონი აშშ დოლარია (2014წ.) და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 36 393 აშშ დოლარს შეადგენს (2014წ.) და მე - 16 ადგილს იკავებს მსოფლიოში. ევროკავშირი ფუნქციონირებს ზესახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი ინსტიტუციებითა და წევრი სახელმწიფოების სამთავრობათაშორისო გადაწყვეტილებებით. ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო, ევროპის საბჭო, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი, აუდიტორთა სასამართლო, ევროპის პარლამენტი, რომელიც აირჩევა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების მიერ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.





Innovation
Branding
Solution
Marketing
Analysis
Ideas
Success
Management


4. საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის დარგში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკა (2009-2015 წწ.)

4.1 ინვესტიციების მოცულობა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მონაცემებით, წიაღისეულის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა 135 ლიცენზიიდან (2010 წ.) გაიზარდა 810 ლიცენზიამდე (2015 წ.). შესაბამისად, სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკაში იზრდება, როგორც უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის (მთლიანი უმსხვილესი უცხოური ინვესტიციების 6%, 2014 წლის I კვარტალი), ასევე მრეწველობაში მოსახლეობის დასაქმების (მრეწველობაში დასაქმებული მთლიანი სამუშაო ძალის 5.5%, 2014 წლის I კვარტალი), საშუალო ხელფასის (საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ლარებში 712. 5, 2012 წელი) კუთხითაც.

2009 - 2014 წლების 6 თვის პერიოდისთვის (იხ. გრაფიკი 1) სამთო-მოპოვებით მრეწველობაში განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა 2010 წელს და შეადგინა 53,435,900 აშშ დოლარი, 2013 წელს - 43,704,900 აშშ დოლარი და 2011 წელს - 40,219,600 აშშ დოლარი. ხოლო ამ კუთხით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს - 4,862,200 აშშ დოლარი.

საქართველოში სამთო-მოპოვებით სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ათასი აშშ დოლარი) 2009 - 2014 წლების 6 თვე










4.2 ინვესტიციების წყაროები

რაც შეეხება ყველაზე მსხვილ ინვესტორ ქვეყნებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით სურათი შემდეგნაირია: 2009 - 2014 წლების 6 თვეში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 6 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა (იხ. გრაფიკი 2):

-  აშშ - 81,407,700. აშშ დოლარი
-  ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები - 43,924,600. აშშ დოლარი
-  გაერთიანებული სამეფო - 40,234,500. აშშ დოლარი
-  მავრიკი - 22,280,200. აშშ დოლარი
-  კვიპროსი - 16,355,500. აშშ დოლარი
-  ინდოეთი - 14,756,400. აშშ დოლარი


საქართველოში სამთო - მოპოვებით სამუშაოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით (ათასი ლარი) 2009 - 2014 წლების 6 თვე



-  აშშ
-  ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები
-  გაერთიანებული სამეფო
-  მავრიკი
-  კვიპროსი
-  ინდოეთი

Cotton	\$118.00	\$162.60	37.80%
Flax	\$191.00	\$191.38	0.20%
Textiles	\$208.00	\$264.58	27.20%
Wool	\$217.00	\$244.34	12.60%
Fur	\$199.00	\$216.11	8.60%
Sateen	\$172.00	\$173.03	0.60%
Silk	\$109.00	\$151.07	38.60%

Oil	\$789.00	\$935.75	18.60%
Gas	\$722.00	\$877.95	21.60%
Electric pow	\$602.00	\$746.48	24.00%



	DAT	BID	ASK	PRO
JAN	€ 241,00	€ 558,00	€ 104,00	
FEB	€ 955,00	€ 348,00	€ 374,00	
MAR	€ 116,00	€ 415,00	€ 930,00	
APR	€ 262,00	€ 146,00	€ 107,00	
MAY	€ 839,00	€ 890,00	€ 801,00	
JUN	€ 706,00	€ 579,00	€ 691,00	
JUL	€ 622,00	€ 870,00	€ 933,00	
AUG	€ 557,00	€ 779,00	€ 934,00	
SEP	€ 50,00	€ 300,00	€ 437,00	
OCT	€ 817,00	€ 518,00	€ 269,00	
NOV	€ 173,00	€ 331,00	€ 223,00	
DEC	€ 608,00	€ 599,00	€ 389,00	

საქართველოში მომუშავე სამთო-მოკვებითი სექტორის კომპანიები, რომლებშიც განხორციელდა მსხვილი კირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2009 - 2014 წლის 6 თვე.)

№	კომპანიის დასახელება
1	სს RMG Copper (ყოფილი სს მადნეული)
2	შპს "კანარგო ჯორჯია"
3	შპს "ნინოწმინდის ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში"
4	შპს "ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედ"-ის ფილიალი საქართველოში
5	შპს "სტრეიტ ოილ ენდ გეზ საქართველო"
6	შპს "ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენის ფილიალი"
7	შპს Kinland Georgia Mining
8	შპს "კანარგო - ს საქართველოს წარმომადგენლობა"
9	შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"
10	შპს "ასკანა"
11	Georgia oil & Gas limited-ის ფილიალი საქართველოში
12	შპს "ნორიოს საოპერაციო კომპანია"
13	შპს "ჩემპიონი 10"
14	შპს E.J.S.
15	სს "ნორიოს ნავთობის კომპანია"
16	შპს "თიმალი"
17	ს.ს "ბოლნისის ტუფი"
18	შპს "ელეგო"
19	შპს "ბლექ სი ენერჯი ჯორჯია"
20	შპს "სამთო - სამრეწველო კომერციული კომპანია ლიმიტედი"
21	შპს "გელათი 2007"
22	შპს "ეკომეტალი"
23	შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია"
24	შპს "დოგანი"






5. საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის გეზგლენს სოციალურ-ეკონომიკურ ბარემოზე

5.1 სამუშაო ადგილების შექმნა


2001 - 2014 წლების 6 თვის მონაცემებით, საქართველოში სამთო-მოპოვებით მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2001 წელს იყო დაახლოებით 6,490 ადამიანი, აქედან 1,550 ადამიანი დასაქმებული იყო სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში, ხოლო 4,940 ადამიანი - სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გარდა, 5,710 ადამიანამდე 2014 წლის 6 თვის მონაცემებით, საიდანაც 2,354 ადამიანი დასაქმებული იყო სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში, ხოლო 3,356 ადამიანი - სამთო-მოპოვებით მრეწველობაში სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გარდა. მათი საშუალო ხელფასის (საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ლარებში 712.5, 2012 წ.) დასაქმებულთა ყველაზე დიდი საშუალო წლიური მაჩვენებლები მთლიანად აღნიშნულ სექტორში დაფიქსირებულია 2005 წელს - 8,649 ადამიანი, 2006 წელს - 7,963 ადამიანი, 2004 წელს - 7,252 ადამიანი და 2012 წელს - 7,152 ადამიანი. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ამ თვალსაზრისით დაფიქსირებულია 2009, 2008 და 2010 წლებში, შესაბამისად - 4,532, 4,344 და 5,092 ადამიანი. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გრაფიკი 3 და ცხრილი № 3.

საქართველოში სამთო-მოპოვებით მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა (კაცი) 2001 - 2014* წლების 6 თვე.



■ სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
■ სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის გარდა

საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება (ათასი ლარი) (2001 - 2014* წლების 6 თვე).



■ სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
■ სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის გარდა

5.2 გამოშვებული პროდუქციის ღირებულება

საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულების შესახებ 2001 - 2014 წლების 6 თვის მონაცემები დეტალურად არის წარმოდგენილი გრაფიკში 4 და ცხრილში 4. 2001 წელს საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 68,761,000 ლარი, საიდანაც 28,841,000 ლარი მოდიოდა სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ხოლო 39,919,000 ლარი - არასათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე. 2014 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 122,069,000 ლარი, საიდანაც 31,387,000 ლარი მოდიოდა სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ხოლო 90,680,000 ლარი - არასათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, გამოშვებული პროდუქციის ღირებულების

კუთხით, დაფიქსირებულია 2012 წელს - მთლიანი ღირებულება 364,390,000 ლარი, საიდანაც 126,652,000 ლარის ღირებულება მოდიოდა სათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ხოლო 237,737,000 ლარის ღირებულება - არასათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და 2011 წელს მთლიანი ღირებულება 329,142,000 ლარი, საიდანაც 107,873,000 ლარის ღირებულება მოდიოდა სათბობ-ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ხოლო 221,269,000 ლარი - არასათბობ - ენერგეტიკული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები კი დაფიქსირებულია 2001 და 2002 წლებში, მთლიანი პროდუქციის ღირებულება შესაბამისად შეადგენდა 68,761,000 და 80,446,000 ლარს.

საქართველოში სამთო - მოპოვებით მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა (კაცი)														
წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014* 6 თვე
სათბობ-ენერგეტ. ნიაღისეულის მოპოვება	1550	1453	1353	1454	1524	1251	1444	1252	1405	1604	2141	2671	2298	2354
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	4940	5011	5150	5798	7125	6712	3088	3092	3802	3488	3743	4486	3863	3356
სულ	6'490	6'464	6'503	7'252	8'649	7'963	4'532	4'344	5'207	5'092	5'884	7'157	6'161	5'710

ცხრილი 4: საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება (ათასი ლარი) (2001 - 2014 წლების 6 თვე).

საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება (ათასი ლარი)														
წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014* 6 თვე
სათბობ-ენერგეტ. ნიაღისეულის მოპოვება	28841.9	21897.2	45120.3	40738.6	44466.4	49049.8	87674.7	75448.7	47918.1	77275.9	107873.1	126652.3	86239.9	31387.7
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	39919.5	58549.6	84902.5	97784.9	112763.2	186072.8	189621.0	186514.1	147578.5	177670.9	221269.8	237737.9	197933.6	90681.7
სულ	68,761.4	80,446.8	130,022.8	138,523.5	157,229.6	235,122.6	277,295.8	261,962.9	195,496.6	254,946.9	329,142.9	364,390.2	284,173.5	122,069.4



6. სამთო-მოპოვებითი მრეწველობის გეგმავლენა საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ ბარემოზე

6.1 გავლენა გეომორფოლოგიურ პირობებზე

რელიეფის ბუნებრივ ფორმებზე სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ფუნქციონირების უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება. ასეთ შემთხვევებში ხდება კარიერების ადგილზე და მათთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი რელიეფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება. ღია კარიერების ადგილზე ბუნებრივ რელიეფს ცვლის ანთროპოგენური რელიეფი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვაბულების, ამონათხარი ორმოების, თხრილების სახით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მადნების გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი „ფუჭი“ ქანების ნაყარისაგან წარმოქმნილი მიწაყრილები, ბორცვები და სხვ. გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იპყრობს მიწის ზედაპირთან ახლოს არსებული მალაროების ქერის ჩანგრევის შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჩანაქცევი მიკრო, ზოგ შემთხვევაში, მეზოდეპრესიები.

სამთამადნო წიაღისეულის ან არამადნეული რესურსების ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად ბუნებრივი რელიეფის დეგრადაციისა და ანთროპოგენური რელიეფის წარმოქმნის ფაქტები საქართველოს ყველა კუთხეში აღინიშნება. ამ მხრივ ერთ - ერთი ყველაზე თვალსაჩინო რეგიონია ჭიათურის პლატო, სადაც 1950 წლიდან ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მარგანცის მადნისა და სამშენებლო კვარციანი ქვიშების ღია კარიერული წესით მოპოვება სოფლების - ბუნიკაურის, ითხვისის, დარკვეთის, ქვედა რგანის, მღვიმევის, პერევისას, შუქრუთის - მიმდებარე ტერიტორიებზე. აღნიშნულ ტერიტორიებზე მარგანცისა და კვარციანი ქვიშების მოპოვების შედეგად წარმოქმნილი კარიერების ჯამური ფართობი 1,200 ჰა-ს აღემატება, ცალკეული კარიერებისა კი 2-10 ჰა-ს შეადგენს. ზოგიერთი ქვიშის კარიერის სიღრმე 30-40 მ-ს აღწევს, კარიერების კალთების დახრა 40-70 გრადუსის საზღვრებში ცვალებადობს. ზოგიერთი კარიერი ხელოვნურად (მადნის მოპოვების პროცესის შედეგად) არის დატერასებული. ასეთი კარიერების ციცაბოდ დახრილ კედლებზე თავსხმა ან გაბმული წვიმების შედეგად წარმოქმნილი ზედაპირული ნაკადების მოქმედებით ხდება ვიწრო, ეროზიული ხრამების განვითარება. ამასთან, ხრამების ბოლო მონაკვეთებზე ფუჭი ქანების ჩამორეცხვის შედეგად წარმოქმნილია კონუსური ფორმის მიკროშლიეფები.

რაც შეეხება მალაროდან გამოტანილი მარგანცის მადნის ნაყარ გროვებს, მათი ჯამური მოცულობა ჭიათურის პლატოზე 2-3 მილიონი მ³ - ით არის განსაზღვრული. ამ ნაყარი გროვებით მალაროების გამოსასვლელებთან მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოქმნილია სხვადასხვა ფორმის ბორცვები, რაც ასეთ ადგილებში ანთროპოგენური რელიეფის საკმაოდ შთაბეჭდავ სურათს ქმნის.

მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ცვლილებები განიცადა ბუნებრივმა რელიეფმა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს როგორც ღია კარიერული წესით, ისე მიწისქვეშა ექსპლუატაციის შედეგად. ტყიბულში XX საუკუნის 40-იან წლებამდე ქვანახშირის ღია წესით მოპოვების პროცესში წარმოქმნილი ქვაბულების სიღრმე, ხშირ შემთხვევაში, 15-25 მ-ს, ხოლო სიგრძე 1,200-1,500 მ-ს აღწევდა. მათი კვალი დღემდე შემორჩენილი. ცხადია, ასეთი კარიერების ადგილზე ბუნებრივი რელიეფი და, საერთოდ, ლანდშაფტი მთლიანად განადგურდა. აღნიშნულთან ერთად, მალარობიდან ამოღებული ქვანახშირის მადნის გამდიდრების („ფუჭი“ ქანების მოცილების) შედეგად წარმოქმნილი გროვებისაგან მალარობის გამოსასვლელებთან მიმდებარე ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა მორფოლოგიურად საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ანთროპოგენური რელიეფი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ე.წ. ტერიკონებისაგან შექმნილი ფორმებით („ტერიკონი“ კი ფრანგულად მალარობიდან მიწის ზედაპირზე ამოტანილი „ფუჭი“ ქანების გროვებისაგან შექმნილი რელიეფის ფორმებს ეწოდება). ასეთი რელიეფი წარმოდგენილია ბრტყელი, ბორცვისებური, კონუსისებური და სხვა სახის ფორმებით. ტყიბულის ქვანახშირის საბადოების გამოსასვლელებთან მიმდებარე ტერიტორიებზე რელიეფის ასეთი ფორმების სიმაღლე 10-20 მ-ს, ხოლო დიამეტრი ფუძეში 15-20 მ-ს აღწევს, ზოგიერთი მათგანის სიგრძე კი 300 მ-ს აღემატება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ფუჭი“ ქანების დასაწყობებით წარმოქმნილ რელიეფზე თავსხმა ან გაბმული წვიმების დროს ინტენსიურად მიმდინარეობს ეროზია, რაც მისი ზედაპირის დახრამვას განაპირობებს.

ბუნებრივი რელიეფის საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა XX საუკუნის 40-70 - იან წლებში განხორციელებულმა ახალციხის (ვალეს) მურა ნახშირის საბადოს ექსპლუატაციამ. იმ ადგილებზე, სადაც მალაროს ქერი მიწის ზედაპირთან ახლოს იყო განლაგებული, განვითარდა ნიადაგ - გრუნტების ჯდენის (ჩაწოლის) პროცესი, რამაც გამოიწვია 1-3 მ სიღრმის და საშუალოდ, 2-3 მ სიგანის ძაბრისებური ორმოების მასიური განვითარება. იმავე მიზეზით მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ (მალაროსთან მიმდებარე ტერიტორიაზე) წარმოიქმნა მცირე ზომის მეწყრული სხეულები და გააქტიურდნენ ძველი მეწყრები. აღნიშნულთან ერთად, მალარობიდან გამოტანილი „ფუჭი“ ქანების დასაწყობებით წარმოქმნილ სხვადასხვა ფორმის ტერიკონებს, რომლებსაც დღემდე აქვთ შემორჩენილი საკმაოდ მკვეთრი მორფოლოგიური სახე, მიწის ზედაპირის დაახლოებით 20 ჰა უკავია.

ბუნებრივი რელიეფის მორფოლოგიური იერის მკვეთრი ცვლილებები გამოიწვია კაზრეთის (მადნეულის) ბარიტ - პოლიმეტალების, სპილენძ - კოლჩედანისა და ოქროს შემცველი მთის ქანების ღია კარიერული წესით დამუშავებამ. წარმოქმნილი დეპრესიების სიგრძე 1,7 კმ - ს აღწევს, სიგანე - 700-800 მ-ს, სიღრმე ალაგ - ალაგ

- 250 მ-ს. ასეთი კარიერის კედლებზე ხელოვნურად შექმნილი საფეხურების შეფარდებითი სიმაღლე 12-15 მ-ს უდრის (საფეხურები მადანში ავტომანქანების მოძრაობის მიზნით არის შექმნილი). კარიერის კედლების დახრა ალაგ - ალაგ 60-80 გრადუსს უდრის. ცხადია, რომ კაზრეთის კარიერის ადგილზე ბუნებრივი რელიეფი მთლიანად განადგურებულია, ხოლო მასთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებზე სხვადასხვა ხარისხითაა დეგრადირებული.

ტყიბულის, ჭიათურის, კაზრეთის საბადოების ღია კარიერული წესით ექსპლუატაციის მსგავსად, იმავე წესით ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე სხვა მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მოპოვებაც და ეს პროცესი ხანდახან ამჟამადაც მიმდინარეობს. აღნიშნულის შედეგად კარიერების ადგილებსა და მათთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი რელიეფი სრულად ან ნაწილობრივ არის განადგურებული. ბუნებრივი რელიეფის მასშტაბური დეგრადაციის ან მისი სრული განადგურების თვალსაჩინო მაგალითია ჭიათურის პლატოზე, სოფ. ითხვისისა და შუხრუთის მიდამოებში, კვარციანი ქვიშების ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად წარმოქმნილი დეპრესიები. ზოგიერთი კარიერის ადგილზე წარმოქმნილი დეპრესიების ფართობი 6-8 ჰა-ს აღწევს, სიღრმე - 30-40 მ-ს, კედლების დახრა - 40-70 გრადუსს. ცალკეული კარიერების კედლებზე წარმოდგენილია ხელოვნურად შექმნილი საფეხურები.

საქართველოს ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 1,500-1,700 მეტრ სიმაღლეზე, XX საუკუნის 50-ანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა და ხანდახან, ამჟამადაც მიმდინარეობს ქიმიური და აგროსანარმოო ნედლეულის, ინერტული მასალებისა და სხვა დანიშნულების მქონე წიაღისეულის მოპოვება (ქვიშები, ხრეში, თიხა, მარმარილო, კირქვა, ანდეზიტი, აქატი, ბარიტი, ცეოლითი და სხვ.). აღნიშნული წიაღისეულის მოპოვების შედეგად საქართველოს ყველა კუთხეში მეტ - ნაკლებად არის განვითარებული ანთროპოგენური რელიეფი სხვადასხვა ფორმისა და ზომის მიკრო და მეზოდეპრესიების, ქვაბულების, თხრილების, ძაბრისებური ორმოებისა და სხვათა სახით. მაგალითად, ახალციხის მუნიციპალიტეტში აქატის (კალცედონი) საბადოს ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად, რაც XX საუკუნის 30-80 - იან წლებში მიმდინარეობდა, ამაღლების მთის კალთების ბუნებრივი რელიეფი თითქმის მთლიანად ანთროპოგენური რელიეფით არის შეცვლილი. საკმაოდ მასშტაბური ზომებით გამოირჩევა კირქვის კარიერების ადგილზე წარმოქმნილი ქვაბულები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში და კავთისხევში (კასპის მუნიციპალიტეტი), თიხის კარიერების ადგილზე წარმოქმნილი დეპრესიები გარდაბნის მუნიციპალიტეტში. XX საუკუნის 40-70 - იან წლებში ნაქერალას ქედის სამხრეთ კალთებზე (ქ. ტყიბულის მახლობლად) სამშენებლო დანიშნულების მასალების (ქვიშები, კირქვები,

თიხები) კარიერების ადგილზე დღემდე შემორჩენილია 150-200 მ სიგრძის და 10-15 მ სიღრმის ციცაბო კალთებიანი ქვაბულები.

6.2 გავლენა ეკოლოგიურ გარემოზე

ღია კარიერული წესით წიაღისეულის მოპოვებამ არასასურველ გეომორფოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, რიგ შემთხვევებში, საკმაოდ მძიმე ეკოლოგიური შედეგები მოიტანა. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან XX საუკუნის განმავლობაში მშენებლობის საჭიროებისათვის ათეულობით მილიონი მ³ მოცულობის ქვიშისა და ხრეშის აღება. აღნიშნულის შედეგად საგრძობლად შესუსტდა პლაჟის ზოლისა და ზღვის ნაპირის წინააღმდეგობის გაწევის უნარი ტალღების აბრაზიული მოქმედების მიმართ, რაც გახდა სანაპირო ხმელეთის ინტენსიური წარეცხვისა და მისი უკან დახევის ერთ - ერთი ძირითადი მიზეზი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და ამჟამადაც არ ექცევა სხვადასხვა სახის წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების დროს შესაბამისი რეკულტივაციური ღონისძიებების განხორციელებას. წიაღისეულის ღია წესით მოპოვების ადგილებზე თითქმის არ ტარდებოდა სამთო-ტექნიკური და ბიოლოგიური ღონისძიებები (ახლად წარმოქმნილი ხელოვნური რელიეფის მოსწორება და მისი დაფარვა ნიადაგის ფენით, ბალახების დათესვა, ხეებისა და ბუჩქების დარგვა და ა.შ.).

სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სხვადასხვა ხარისხით უარყოფითი ზემოქმედება ლანდშაფტის სხვა კომპონენტებზეც განიცადეს. საქართველოში ბოლო ხანებამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესში მავნე ტოქსიკური ელემენტებით ზედაპირული წყლების დაბინძურების პრობლემას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ კაზრეთის სპილენძ-კოლჩედანური და ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს ბაზაზე მოქმედი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მაგალითი. ამ კომბინატის მძლავრი ღია კარიერიდან და თავად კომბინატიდან გოგირდმჟავა ნაერთებით დაბინძურებული წყლები ბოლო ხანებამდე თავისუფლად ჩაედინებოდა მდ. კაზრეთულაში. ეს უკანასკნელი მდ. მაშავერას მარჯვენა შენაკადია. მაშავერას წყალი კი ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად გამოიყენება. გამოკვლევებით დადგენილია, რომ კაზრეთის კომბინატის კარიერიდან 20-40 კმ მანძილზე აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების ნიადაგსაფარში ტოქსიკური ქიმიური ელემენტები ხვდებოდა როგორც სარწყავი წყლის მეშვეობით, ისე იმავე ელემენტებით დაბინძურებული ჰაერის მიწის ზედაპირზე შეხებით. დადგინდა, რომ კომბინატის მიმდებარე ტერიტორიების სასოფლო-



სამეურნეო მიწების საერთო ფართობის 70% სპილენძითა და თუთიით საშუალოზე უფრო მაღალ დონეზე იყო დაბინძურებული, 17-20% - ძლიერ დაბინძურებული. მანგანუმით საშუალო დონეზე მეტად დაბინძურებული აღმოჩნდა გამოკვლეული ნიადაგების საერთო ფართობის 81%, ხოლო ძლიერ დაბინძურებული - 18%.

ზედაპირული წყლების დაბინძურება მავნე, ქიმიური და ბიოგენური ელემენტებით დღემდე მიმდინარეობს მთელი რიგი მადნეული და არამადნეული საბადოებისა და მათთან დაკავშირებული მოქმედი ან გაუქმებული სამთო-გამამდიდრებელი და ქიმიური საწარმოების გავლენით. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დროს მდინარეთა დაბინძურებული წყლებით იტბორება კლავოტისპირა დაბალი ტერიტორიების საკმაოდ დიდი ფართობები, რის შედეგადაც ამავდროულად ტერიტორიების ნიადაგსაფარი სხვადასხვა ხარისხით განიცდის დაბინძურებას. მაგალითად, ქ. ქუთაისში მდებარე ამჟამად გაუქმებული ლითოზონის ქიმიური საღებავების ქარხნის ტერიტორიის დაახლოებით 5 ჰა ფართობზე ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად დარჩენილია ათეული ათასობით მ³ მოცულობის მავნე ტოქსიკური ელემენტებით გაჯერებული, სუსტად გამკვრივებული თიხოვანი ნარჩენი. აღნიშნული ქარხნის ტერიტორია განლაგებულია მდ. რიონის ქალის დაბალ ტერასაზე და წყალდიდობების დროს დაბინძურებული ნარჩენების საკმაოდ დიდი ნაწილი პირდაპირ ხვდება მდინარეში. ასევე, ქარხნის ტერიტორიიდან საშუალო და ძლიერი ქარების დროს მიმდინარეობს ბარიტის მადნის ნარჩენების ფხვიერი მასის ჰაერში ატაცება და ამ უკანასკნელის დაბინძურება. დაბინძურებული ჰაერი კი ქ. ქუთაისის განაშენიანებულ კვარტლებში გადაადგილდება.

იგივე შეიძლება ითქვას კვანახის ყოფილი პოლიმეტალების ქარხანაზე, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლების დაწყებამდე ფუნქციონირებდა. ამ ქარხანაში, რომელიც მდ. ჭეჭორას (მდ. რიონის მარცხენა შენაკადი) აუზში მდებარეობდა, ხდებოდა ტყვია-თუთის მადნის გამდიდრება. მადნის გამდიდრების შედეგად დარჩენილ ფუჭ ქანებს კი ათავსებდნენ სპეციალურად აგებულ საცავში. ეს საცავი განლაგებული იყო მდ. ჭეჭორას დაბალ ტერასაზე, რომელიც მდინარის მხრიდან შემოზღუდული იყო ბეტონის კედლით. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღნიშნული საცავის ბეტონის კედელი სანახევროდ უკვე იყო დანგრეული და საცავიდან მადნის ნარჩენები შეუფერხებლად ხვდებოდა მდ. ჭეჭორაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, ურავის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) და ცანას (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) დარიშხანის მადნის საბადოების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები. ამ საბადოებიდან მოპოვებული დარიშხანის მადნის სამთო-გამამდიდრებელმა





და ქიმიურმა საწარმოებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს XX საუკუნის 90-იან წლებში. თუმცა, როგორც ურავის სამრეწველო უბნებზე (ურავი - 1; ურავი - 2; ურავი - 3; ურავი - 4), ისე ცანას უბნებზე (ცანა - 1; ცანა - 2; ცანა - 3) დარიშხანის მადნის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი დიდი რაოდენობით დაბინძურებული ნარჩენები და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების ნანგრევები დიდ საშიშროებას უქმნიან მოსახლეობის ჯანმრთელობას. განუწყვეტლივ მიმდინარეობს ზედაპირული წყლების დაბინძურება მავნე ქიმიური ელემენტებით. დაბინძურებული ზედაპირული წყლების გავლენით კი ბინძურდება აგრეთვე მდინარეული ნატანი და მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგსაფარი. წინასწარი გამოკვლევებით დადგენილია, რომ როგორც ურავის, ისე ცანას ზემოთ აღნიშნულ უბნებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე, ზედაპირულ წყლებში, ნიადაგსაფარსა და მდინარეულ ნატანში დარიშხანის შემცველობა რიგ შემთხვევებში მეტია, ან უახლოვდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

საკურადლებოა ახლო წარსულში ჭიათურის მარგანეცის მადნის გამდიდრების შედეგად მდ. ყვირილას თხევადი და მყარი ჩამონადენების დაბინძურების უკიდურესად მაღალი დონე. ამ ფაქტის ნათელი დადასტურება იყო ქ. ზესტაფონთან მდინარეების - ყვირილასა და ძირულას - შეერთების ადგილზე ამ მდინარეების შავი (ყვირილას) და მოცისფრო (ძირულას) ნაკადების მკვეთრად გამიჯვნა, რაც პერიოდულად რამდენიმე დღის მანძილზე აღინიშნებოდა.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს ზღვისპირა ზოლში განვითარებული ტორფიანი ჭაობებიდან დაიწყო და იმავე საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე გრძელდებოდა ტორფის მოპოვება ორგანული სასუქის დამზადების მიზნით. ზღვისპირა ჭაობებიდან ათეული ათასობით მ³ ტორფის ამოღების შედეგად ამ ჭაობების ცალკეულ უბნებზე დაიწყო და დღემდე განუწყვეტლივ გრძელდება ზედაპირული წყლების ინტენსიური დაბინძურება მავნე ბიოგენური ელემენტებით. ჭაობების ზედაპირზე არსებულ წყლით ამოვსებულ კარიერებში მიმდინარეობს ტორფის აქტიური ფენების ლპობა, რაც განაპირობებს მავნე ბიოგენური ელემენტების დიდი რაოდენობით წარმოქმნასა და ჭაობის წყლების დაბინძურებას. დაბინძურებული წყლები კი აღნიშნული კარიერებიდან გაედინება ჭაობის მდინარეებში, ტბებში, საიდანაც ეს წყლები ზღვაში ხვდება.

კვასას, ურავის, ცანას ყოფილი და ჭიათურის ამჟამად მოქმედ სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ობიექტებს, ქუთაისის ლითოპონის საღებავების ყოფილ ქარხანასა და შავიზღვისპირა ზოლში მდებარე ჭაობების ტორფის კარიერებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მდ. რიონის წყალშემკრები აუზის მდინარეთა ქსელის დაბინძურებაში. 1988 წელს მდ. რიონის შესართავის რაიონში ჩატარებული

გამოკვლევებით, ამ მდინარის წყალში ტოქსიკური აბოტოვანი ნაერთების შემცველობა ნორმაზე 4-6-ჯერ მეტი აღმოჩნდა, სპილენძისა - 1,2-ჯერ მეტი, ფენოლებისა - 4-ჯერ მეტი და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა, რომ 1903 წელს გამოქვეყნებული „შავი ზღვის სანაოსნო ლოცია“ ფოთის ნავსადგურში შემოსული გემების კაპიტნებს ურჩევდა, გემებზე სასმელი წყლის მარაგი მდ. რიონის წყლებით შეეცათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცეოლითებს, მათი კარგი აბსორბენტული თვისებების გამო, ფართოდ გამოიყენებენ შინაურ ცხოველთა კომბინირებული საკვების დანამატად. ბოლო დროს ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ცეოლითის ზოგიერთი მინერალი (ერიონიტი, მორდენიტი, მაზიტი, როგანიტი და სხვ.) კანცეროგენული წარმონაქმნებია. მაგ., ერიონიტი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მიჩნეულა 20-40-ჯერ უფრო ტოქსიკურ მინერალად აზბესტ-ქრიზოლიტთან შედარებით. საქართველოში ცეოლითების გამოყენება ხდებოდა და ამჟამადაც ხდება მისი შემადგენელი მინერალების იდენტიფიცირების გარეშე. ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. დადგენილია, რომ ერიონიტი და მორდენიტი იწვევენ ადამიანის შინაგანი ორგანოების დაავადებებს (სიმსივნურ გადაგვარებას).



საყურადღებოა, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილი კომპანიები დღემდე ნავთობს, ძირითადად, ძველი ქაბურღილებიდან მოიპოვებენ. მაგ., კომპანია „ფრონტერა“ მწარე ხევის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) საბადოზე განმენდითი სამუშაოების დროს ამოღვრილ ნავთობს იქვე, მიწაში ამოთხრილ ორმოებში, ღვრის და ამით აბინძურებს ზედაპირულ წყლებს, ნიადაგსა და მცენარეულ საფარს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნავთობკომპანიას ქაბურღილები განთავსებული აქვს მდ. ივრის ქალაში, კალაპოტიდან 50 მ-ის დაშორებით, რაც დაბინძურების რეალურ საშიშროებას უქმნის ამ მდინარის თხევად ჩამონადენს. აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ნავთობის ქაბურღილების განლაგება მდინარის ნაპირიდან 2 კმ მანძილზე უფრო ახლოს.

რაც შეეხება ფლორასა და ფაუნას, შეიძლება ითქვას, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილების სათანადო ბოტანიკური და ზოოლოგიური შეფასება, როგორც წესი, არ ხდება. ღია კარიერების ფუნქციონირების დაწყებისთანავე, მათ ადგილებსა და უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი მცენარეული საფარი მთლიანად ნადგურდება. ყურადღების გარეშე რჩებოდა სხვადასხვა კატეგორიის დაცული სახეობების (მათ შორის, „წითელ წიგნში“, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების) არსებობის ფაქტები. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ღია კარიერების ექსპლუატაციის პირობებში ტექნიკის მუშაობის ან მთის ქანების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ხმაურით ფაუნის სხვადასხვა სახეობის შემოფოტების პრობლემას.

დღემდე ასევე არ ექცევა სათანადო ყურადღება წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ადგილებში ჰაერის დაბინძურების პრობლემას. საბადოებიდან მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება, როგორც წესი, ხდება და დღესაც ხდება ღიაძარებიანი მადანმზიდი ავტომანქანებით. ასეთ პირობებში ადგილი აქვს მადნის გამტვრევას, დაბინძურებული ჰაერის ჭავლების წარმოქმნას, რაც, საბოლოო ჯამში, ატმოსფეროს ქვედა ფენების გაჭუჭყიანებას იწვევს. ღია კარიერების ადგილებსა და მათთან მიმდებარე ტერიტორიებზე ჰაერის ეპიზოდური, მაგრამ საკმაოდ ძლიერი, დაბინძურება ხდება კარიერებში მთის ქანების აფეთქების დროს წარმოქმნილი მტვრის გაფრქვევის შედეგად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულებით - „ატმოსფეროს ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის წესების შესახებ“ - ჰაერში დამაბინძურებელი მტვრის ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზი უნდა ხდებოდეს უშუალოდ ინსტრუმენტალური გაზომვებით ან საანგარიშო მეთოდების გამოყენებით. საქართველოს წიაღისეულის საბადოებსა და მათთან დაკავშირებულ სამთო-გადამამუშავებელ ობიექტებზე ასეთი ღონისძიებები, რამდენადაც

ჩვენთვის ცნობილია, დღემდე სათანადო წესის დაცვით არ ჩატარებულა.

6.3 ბავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე

სამთო-მოპოვებითი წარმოება საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის, არამედ კულტურული მემკვიდრეობისთვისაც. ამ საქმიანობის დროს დაზიანება - განადგურება ემუქრება როგორც თვით სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებულ უძველეს არქეოლოგიურ ობიექტებს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სხვა ნებისმიერ ობიექტსაც, რომელიც სამთო-მოპოვებითი საქმიანობის არეალში ან მის მიდამოებში მდებარეობს. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც კომპანიებმა, მათთვის ეკონომიკურად ხელსაყრელი ვითარების გამო, წიაღისეულის მოპოვება ღია (კარიერული) წესით და ბურღვა - აფეთქებებით დაიწყეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა კარიერის დამუშავებასა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ითხოვს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ან მისი უფლებამოსილი ორგანოს - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს - დასკვნას, რომელიც გაცემა წინასწარი არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე (საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მუხლი14), ჩვენი ინფორმაციით, 2012 წლამდე არც ერთ ორგანიზაციას ასეთი დასკვნის მისაღებად სამინისტროსთვის არ მიუშართავს. შესაბამისად, სამუშაოთა უმეტესობა, რომელიც დაკავშირებულია სამთო-მოპოვებით მრეწველობასთან საქართველოს ტერიტორიაზე, კანონდარღვევით მიმდინარეობს.

მაგალითად, მუხათგვერდის ტბის მიმდებარე ზეგანზე შესაბამისი არქეოლოგიური კვლევისა და სამინისტროს დადებითი დასკვნის გარეშე, უკვე არაერთი წელია, მიმდინარეობს კარიერის დამუშავება. ეს ის ტერიტორიაა, სადაც მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, მეცნიერებათა აკადემიის თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ იქნა ჩვ. წ - მდე III ათასწლეულის უნიკალური არქიტექტურის მქონე ყორღანული სამარხი, სადაც სხვა ყორღანული სამარხების არსებობაც ივარაუდება.

სავარაუდოდ, შესაბამისი დასკვნის გარეშე მიმდინარეობს სხვა კარიერების დამუშავებაც, როგორცაა, მაგალითად, ქვიშა - ხრეშის კარიერი კასპის რაიონის სოფელ ჩანგილარში, ამავე რაიონის კავთისხევის კირქვის კარიერი, გარდაბნის თიხის კარიერი, დედოფლისწყაროს კირქვის კარიერი („ჰაიდელბერგცემენტი“) და სხვ.

წინასწარი არქეოლოგიური კვლევისა და შესაბამისი დასკვნის გარეშე ხორციელდება ასევე მანგანუმის მოპოვება ქიათურაში. ეს რაიონი განსაკუთრებით მდიდარია ძველი ქვის ხანის უნიკალური ძეგლებით, სადაც მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თანამედროვე ადამიანი ნეანდერტალელთან თანაარსებობდა. ერთ - ერთი გამოქვაბული, სადაც ძველი ქვის ხანის არქეოლოგიური ფენებია გამოვლენილი, დაიფარა მანგანუმის მოპოვების მიზნით წარმოებული აფეთქებების შედეგად წარმოქმნილი კლდოვანი მასით. მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგებმა ამის თაობაზე წერილობით აცნობეს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს, ამ ფაქტს არ მოჰყოლია კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ქმედება.

6.3.1 კულტურული მემკვიდრეობის მოკლე მიმოხილვა საქართველოში მიმდინარე სამთამაძრო სამუშაოების არეალში

ქვემო ქართლი - ბოლნისის მუნიციპალიტეტი (საყდრისის ოქროსა და მადნეულის სპილენძის საბადოები)

ქვემო ქართლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიმრავლისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით ერთ - ერთი გამორჩეული რეგიონია, სადაც გვაქვს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლებიც. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დმანისი, სადაც შუა საუკუნეების ნაქალაქარის ქვეშ 1.8 მილიონი წლის წინანდელი ჰომინიდების (ჰომო ერექტუსი, ჰომო ჰაბილისი) სადგომია აღმოჩენილი, რაც დღეისათვის პირველყოფილი ადამიანის აფრიკიდან ევრაზიის კონტინენტზე განსახლების უადრესი მაგალითია.

რეგიონში დმანისის მომდევნო ქვედა პალეოლითის (აშელი, მუსტიე) ხანის ქვის იარაღიცაა აღმოჩენილი. დაახლოებით ასი პეტროგლიფი, რომელთა შორის უადრესი მეზოლითის ხანას განეკუთვნება, აღმოჩენილია მდინარე პატარა ხრამის ხეობაში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ნახიდურთან, არსებობს ნეოლითური ნასახლარი არუხლო (ჩვ. წ - მდე VI-V ათასწლეულები), რომელიც კავკასიაში ერთ - ერთ უადრეს ფერმერულ დასახლებას წარმოადგენდა. იმავე სოფელში არის ჩვ. წ - მდე პირველი ათასწლეულის მეგალითური ციხესიმაგრე.

ამავე მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისთან, ოქროს მოპოვების თანამედროვე სალიცენზიო ტერიტორიაზე, მდებარეობს სამთამაძრო წარმოების არქეოლოგიური ობიექტი, სადაც, მეცნიერთა აზრით, ოქროს სამთო წესით მოპოვება მსოფლიოში ყველაზე ადრე (ჩვ. წ მდე IV-III ათასწლეულები) ხდებოდა.

ამ საბადოდან დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე არის მტკვარ - არაქსის კულტურის ნასახლარი ძეგლები, რომელიც საყდრისის უძველეს მაღაროელთა დასახლებადაა მიჩნეული.

მტკვარ - არაქსის კულტურის უადრესი ძეგლები გათხრილია ასევე ღრმა ხევისთავში მდინარე მაშავერას ხეობაში.

რეგიონში არაერთი სხვა არქეოლოგიური ობიექტია გამოვლენილი, დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. მათ შორისაა რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ობიექტებიც: ანტიკური ხანის რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები სოფელ ქვემო ბოლნისში, შუა საუკუნეების სახელოსნოს ნაშთები მდინარე წულრუდაშენის ხეობაში, XVII-XVIII საუკუნეების სახელოსნოების ნაშთები სოფელ ბოლნისთან და სხვ.

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებიც მრავლადაა რეგიონში. მათ შორის განსაკუთრებული ღირებულებისაა V ს - ის ტაძარი - ბოლნისის სიონი, რომელმაც შემოგვინახა უძველესი ორი ქართული (ასომთავრული) წარწერა. ერთ - ერთ მათგანზე მითითებულია ტაძრის აგების დრო (478 - 493 წწ.).

იმერეთი - ტყიბულის მუნიციპალიტეტი (ტყიბულის ნახშირის საბადო), ქიათურის მუნიციპალიტეტი (მანგანუმის საბადო)

იმერეთის მხარე განსაკუთრებით მდიდარია პალეოლითური (ძველი ქვის ხანის) არქეოლოგიური ძეგლებით. სამხრეთ კავკასიის დაახლოებით 200 შუა და ზედა პალეოლითური ხანის ძეგლებიდან უმეტესობა სწორედ იმერეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, მათ შორის - ტყიბულისა და ქიათურის მუნიციპალიტეტებში. ზემო იმერეთი, როგორც კარსტული რეგიონი, მდიდარია ბუნებრივი და ნახევრად ხელოვნური მღვიმეებითა და გამოქვაბულებით, რომლებსაც უძველესი ადამიანი სადგომად იყენებდა დაწყებული პალეოლითის ხანიდან. ეს მღვიმეები ადამიანის მიერ მოგვიანო პერიოდებშიც გამოიყენებოდა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცნობილი პალეოლითური მღვიმეებია: ცუცხვათის მღვიმე, იაზონის მღვიმე, საბელასერის სადგომ-სახელოსნო და სხვ., ქიათურის მუნიციპალიტეტიდან კი ცნობილია: ბნელი კლდე, გვარჯილას კლდე, მღვიმევი, ძუძუნას მღვიმე, სამერცხლე კლდე და სხვ. უკანასკნელ ხანებში კიდევ არაერთი ადრე უცნობი მღვიმე იქნა მიკვლეული, მათ შორისაა უნდოს მღვიმე, სადაც შუა პალეოლითისა და ზედა პალეოლითის ფენები ურთიერთკავშირშია წარმოდგენილი, რის გამოც არქეოლოგები იმედოვნებენ, რომ ამ ძეგლის მომავალი კვლევა, სავარაუდოდ, წარმოაჩენს, თუ როგორ მოხდა კავკასიაში ნეანდერტალელი ადამიანის ჩანაცვლება თანამედროვე ადამიანით (ნ. თუშაბრამიშვილი, ნ. ბახტაძე - 2012).



ტყიბულისა და ქიათურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, პალეოლითური ძეგლების გარდა, თითქმის ყველა არქეოლოგიური პერიოდის ნაშთებია გამოვლენილი.

შიდა ქართლი - კასპის მუნიციპალიტეტი (საცემენტე კირქვის მოპოვება)

კასპის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია. მათ შორისაა ციხიაგორა, რომელიც მდებარეობს სოფელ კავთისხევთან და წარმოადგენს მრავალფენიანი ნამოსახლარის, ნასოფლარ-ნადაბურისა და სამაროვნის კომპლექსს. ნამოსახლარი შედგება ჩვ. წ - მდე IV-III ათასწლეულების მტკვარ - არაქსის კულტურის თიხით შელესილი წნული შენობებისგან, ჩვ. წ - მდე II ათასწლეულის ბოლოს რიყის ქვით ნაგები სახლებისგან, დარბაზული ნაგებობისგან, რომელიც აუცილებლად ჩვ. წ - მდე VI-V საუკუნეებში, ჩვ. წ - მდე IV-III საუკუნეების კომპლექსისგან, რომელიც შედგებოდა ტაძრისა და სხვადასხვა საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობისგან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი კასპის მუნიციპალიტეტში ე.წ. ხოვლეგორაა, რომელიც სოფელ ხოვლეში მდებარეობს. ამ ნასახლარზე 8 სტრატეგრაფიული ჰორიზონტია დადასტურებული, სადაც ცხოვრება იწყება ჩვ. წ - მდე XV - XIV სს - დან და გრძელდება ჩვ. წ - მდე IV ს - მდე. ხოვლეგორიდან 500 მ - ის დაშორებით მდებარეობს ხელოსანთა უბანი, სადაც მეთუნეები ცხოვრობდნენ და ამზადებდნენ კერამიკას ჩვ. წ - მდე IX ს - დან IV-ს - მდე.

მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩნდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების - იგოეთისა და სამთავისის - ტერიტორიაზე, რომელსაც გრაკლიანის გორას ეძახიან. გორაზე აიკრიფა პალეოლითური და ენეოლითური ქვის იარაღი, გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის სამარხები, გვიანბრინჯაო - ადრეჩინის ხანის ნასახლარი და სამაროვანი, განვითარებული რკინის ხანის (ჩვ. წ - მდე VIII-VII სს) საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობები და სამარხები, ჩვ. წ - მდე V-IV სს - ის ტაძარი და სხვა ნაგებობები, ჩვ. წ - მდე IV - III სს - ის მრავალრიცხოვანი სამარხები და სხვ. ცხოვრება გრაკლიანის გორაზე სრულდება ჩვ. წ - მდე I ს - ში.

კასპის მუნიციპალიტეტში შედის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლებიც, როგორცაა, მაგალითად, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომლის ძირითადი ნაწილი უმთავრესად ადრეანტიკურ ხანაში, ჩვ. წ - მდე VI-IV სს - ში გამოკვეთილი; XI ს - ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ - ერთი საუკეთესო ტაძარი, სამთავისი; ქვათახევის XII-XIII სს - ის სამონასტრო კომპლექსი და სხვა მრავალი.

კახეთი - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (ნავთობისა და გაზის მოპოვება)





საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური და სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით მდიდარია გარეჯის უდაბნო, სადაც ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა პერიოდის ნაშთებია აღმოჩენილი - ქვედა პალეოლითიდან (ძველი ქვის ხანა) დაწყებული გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით. თუმცა ამ ტერიტორიიდან უფრო ძველი ნაშთის აღმოჩენის ფაქტიც არსებობს: 1939 წელს სოფელ უდაბნოსთან, დავით გარეჯის მონასტრის მახლობლად, ანთროპოლოგიურმა ექსპედიციამ ადამიანისმაგვარი მაიმუნის გადაშენებული სახეობის, ე.წ. უდაბნოპითეკის, ნაშთი აღმოაჩინა.

გარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე რამდენიმე ქვედა პალეოლითის ხანის ადამიანის ღია სადგომია აღმოჩენილი.

გარეჯის უდაბნო გამოირჩევა ბრინჯაოს ხანის ძეგლთა სიმრავლით. აქ შუა და გვიანბრინჯაოს ხანის 200 - მდე ყორღანული სამარხია გამოვლენილი, რომელთა ნაწილი თრიალეთის კულტურას განეკუთვნება (ჩვ. წ - მდე II ათასწლეულის პირველი ნახევარი).

ამავე ტერიტორიაზე ასევე ადრერკინის ხანის (ჩვ. წ - მდე II ათასწლეულის მეორე ნახევარი - I ათასწლეულის პირველი ნახევარი) რამდენიმე, იმ დროისათვის გრანდიოზული მასშტაბებით გამორჩეული, დასახლება. ერთ - ერთი მათგანი (ნაომარი გორა) 800 მ - ის სიგრძეზე ხელოვნურად მოსწორებული მთის თხემზე განთავსებული და დაცულია როგორც ქვის გალავნით, ასევე თავდაცვითი არხებით.

ჩვ. წ - მდე I ათასწლეულის შუა ხანებიდან უდაბნოს ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი აღარ შეინიშნება. ცხოვრება ამ ტერიტორიაზე განახლდა მხოლოდ ადრე შუა საუკუნეებში - VI ს - ის I ნახევარში, როდესაც აქ ერთ - ერთი ასურელი მამა დავითი, თავის მოწაფესთან ლუკიანესთან ერთად, სახლდება გამოქვაბულში და საფუძველი ეყრება დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაარსებას.

დავითგარეჯის გარდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს ქვეყნის მასშტაბით კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი, ისტორიულ - არქიტექტურული ძეგლი. ესენია: უჯარმის ციხე - ქალაქი, ნინოწმინდის დედათა მონასტერი, ხაშმის სამება, კანარეთის მამათა მონასტერი, მანავის, ჩაილურის, ხაშმისა და პატარძელის ციხესიმაგრეები.



7. მონივრული სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და საერთაშორისო პრაქტიკა



7.1 წიაღისეულის “პასუხისმგებლიანი მოპოვება”

გავრცელებული განმარტებით, „წიაღისეულის პასუხისმგებლიანი მოპოვება“ არის “გლობალური ან რეგიონალური კონსენსუსი (ან კომპრომისი) მთავრობის, მრეწველობისა და ქვეყნის განვითარების საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს შორის, მრეწველობის კერძო ამოცანებისა და მთავრობის საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად საჭირო ძირითადი წესებისა და დაცვის მექანიზმების თაობაზე”. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს განმარტებით კი, წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა არის „ისეთი პრაქტიკისა და პრინციპების მოძიება, დასაბუთება და განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმიანობის სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას“.

ტერმინი „პასუხისმგებლიანი მოპოვება“, ერთ-ერთი გავრცელებული ფორმულირებაა: „სამთო მოპოვება, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში ემორჩილება მასპინძელი ქვეყნის კანონებსა და რეგულაციებს და თავის თავზე იღებს დამატებით ვალდებულებებს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონები და რეგულაციები არასრულია, ან შეიცავს ხარვეზებს ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, უსაფრთხო, ჯანსაღი და ღირსეული სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების და დადებითი კვალის დატოვების მიზნით“.

7.2 სამთო მოპოვებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონები

წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული, ისტორიულ წარსულში არსებული კანონები, ძირითადად, წიაღისეულზე საკუთრების უფლებებსა და გადასახადებს არეგულირებდნენ. მხოლოდ 1800 წლებიდან გამოჩნდა კანონები, რომლებიც შეეხო სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობებს (მათ შორისაა ბრიტანეთის აქტი საბადოების შესახებ, რომელიც ადგენდა შრომითი ურთიერთობების წესებს საბადოებზე და ზოგადი კანონი, რომელიც არეგულირებდა ნარჩენების, ქიმიური ემისიების, წყლის დაბინძურებისა და ჰაერის დაბინძურების საკითხებს). ამ ტიპის კანონმდებლობის გარეშის წინა პირობა გახდა წყლის ობიექტების დაბინძურებით, უკონტროლო ნარჩენი წყლების ქვით, საბადოებზე ადამიანების დაღუპვის შემთხვევების მატებითა და ექსპლუატატორული სამუშაო პირობებით გამოწვეული სერიოზული სოციალური და საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

მე-20 საუკუნეში განვითარებულ ქვეყნებში

წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემოღება ძირითადად განპირობებული იყო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მთავარი საკითხებით. ესენია:

მდგრადი განვითარება - „თანამედროვე თაობების მოთხოვნების დაკმაყოფილება ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში“ - ეს არის მთავარი პრინციპი გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა, რომელიც ეხება ბუნებრივი რესურსების, საბინადრო ადგილების, ტერიტორიებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების „დაცვას, გაჯანსაღებას, აღდგენას, რეაბილიტაციასა და მართვას“.

პრინციპი - დამაბინძურებელი იხდის - მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი დაბინძურების სახელმწიფოზე დაკისრების თავიდან აცილებას. ამ პრინციპის მიზანია დაბალი დაბინძურების გამომწვევი საქმიანობების წახალისება ან დამაბინძურებლებისთვის დასუფთავების ხარჯების დაკისრება. აღნიშნული პრინციპი ხორციელდება გარემოსდაცვითი ჯარიმებისა და გადასახადების ფორმით. ასეთი მეთოდები განსაზღვრულია საფრანგეთის გარემოსდაცვით კოდექსში.

პრევენცია (თავიდან აცილება) - ითვლება, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური ზიანის თავიდან აცილება დაკავშირებულია ნაკლებ ხარჯებთან, ვიდრე მიყენებული ზიანის პოსტფაქტუმ გამოსწორება.

საზოგადოების მონაწილეობა/გამჭვირვალობა - წარმოადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ნაწილს და ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას დიდმასშტაბიანი სამრეწველო საქმიანობების დაგეგმვის პროცესში.

7.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ისტორიულად სამთო-მოპოვებითი კომპანიები იღებდნენ გარემოსა და სოციალური სფეროს დაზიანებისაგან დაცვის მინიმალურ ზომებს მოგების გაზრდისა და ხარჯების შესამცირებლად, „მუშაობდნენ რა სოციალური დაცვის მექანიზმების გარეშე, იწვევდნენ ტერიტორიების სრულ განადგურებას და ტოვებდნენ მას ეკონომიკური ღირებულების მქონე რესურსების გარეშე“. თუმცა 1990 წლებიდან სამთო-მოპოვებითი კომპანიებმა დაიწყეს პასუხისმგებლიანი მოპოვებითი პრაქტიკის უპირატესობების თანდათანობით გაცნობიერება, რაც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობად ჩამოყალიბდა (კორპორაციული პასუხისმგებლობა: „ცნება, სადაც კომპანიები ნებაყოფლობით ითვალისწინებენ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს, ზოგადად, საქმიანობისას და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას“). ასეთი ცვლილების

მიზეზი რამდენიმეა:

მოპოვების პასუხისმგებლიანი პრაქტიკა აუმჯობესებს კომპანიის იმიჯს - ის ზრდის კომპანიის შანსებს, იმუშაოს იმ ქვეყნებში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა მოპოვებითი სამუშაოების ზემოქმედებას; აუმჯობესებს მათ ხელმისაწვდომობას საუკეთესო სამუშაო ძალასა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საინვესტიციო ფონდებზე.

მოპოვების პასუხისმგებლიანი პრაქტიკა აუმჯობესებს დარგის იმიჯს - რაც ამცირებს ზეწოლას ეროვნულ მთავრობებზე წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გამკაცრების მიზნით, ასევე ამცირებს დარგის წინააღმდეგ მიმართულ არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კამპანიებს.

მოპოვების პასუხისმგებლიან პრაქტიკას შეუძლია, შეასუსტოს დაძაბულობა ადგილობრივ თემებთან - ამცირებს ადგილობრივების წინააღმდეგობის გამო პროექტის შეფერხებისა და დახურვის შანსებს.

მოპოვების პასუხისმგებლიან პრაქტიკას შეუძლია კომპანიის დაცვა სასამართლო პროცესებისა და კატასტროფებისგან - ამცირებს სახელმწიფოსა თუ ადგილობრივი თემებისათვის გაუთვალისწინებელი თანხების გადახდის ალბათობას სამრეწველო ავარიების, გარემოს დაბინძურებისა და სოციალური სტრუქტურების რღვევის გამო.

7.4 საერთაშორისო კანონმდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული კონკრეტული საერთაშორისო კანონმდებლობა, გაერო-ს შექმნის შემდეგ რიგ გარემოსდაცვით ხელშეკრულებებსა და კონვენციებში აისახა წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს ხელშეკრულებები და კონვენციები ქმნიან თანამედროვე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველს:

- *საერთაშორისო სამართლის სასამართლოს დებულება, 1945 წელი.*
- *რომის ხელშეკრულება (ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნის შესახებ), 1957 წელი.*
- *კონვენცია კონტინენტური შელფის შესახებ, 1958 წელი.*
- *ანტარტიკის ხელშეკრულება, 1959 წელი და ანტარტიკის ხელშეკრულების ოქმი გარემოს დაცვის შესახებ, 1991 წელი.*
- *საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლის ვენის კონვენცია, 1969 წელი.*

- სტოკჰოლმის დეკლარაცია ადამიანის გარემოს შესახებ, 1972 წელი.
- კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, 1982 წელი და 1994 წლის ხელშეკრულება (ღრმა ზღვის ფსკერი).
- რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ, 1992 წელი.
- კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, 1992 წელი.
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, 1992 წელი.
- ჩრდილოეთ ამერიკის ხელშეკრულება გარემოსდაცვითი თანამშრომლობის შესახებ, 1994 წელი.
- კონვენცია სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ, 1996 წელი.
- კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეების კონფერენციის (კიოტოს ოქმი), 1998 წელი.
- მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი, იოჰანესბურგი, 2002 წელი.

ერთობლივი ანგარიშები

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული კანონებისა და სამთო-მოპოვებით დარგში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების შემდეგ რიგი ერთობლივი ინიციატივების განხორციელების შედეგად შეიქმნა დოკუმენტები, რომელთა მიზანია პასუხისმგებლიანი მოპოვების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დადგენა. აღნიშნული დოკუმენტები შექმნილია ბიზნეს ორგანიზაციების, ეროვნული მთავრობების, აკადემიური სფეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობის შედეგად.

ერთ-ერთი პირველი ასეთი მცდელობა განხორციელდა 2002 წელს, როდესაც წიაღისეულისა და მინერალური რესურსების მდგრადი ათვისების პროექტმა წარმოადგინა ანგარიში - ახალი ჰორიზონტების აღმოჩენა. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ასეთი ანგარიშების რაოდენობა და მასშტაბები.

7.5 პასუხისმგებლიანი ბიზნესის საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტები

არსებობს პასუხისმგებლიან ბიზნეს პრაქტიკასთან დაკავშირებული მრავალი ჩარჩო დოკუმენტი,



სახელმძღვანელო, პრინციპი, სტრატეგია, დეკლარაცია და მიმართვა, რომელთა დიდი ნაწილი სამთო მრეწველობასაც ეხება. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ის დოკუმენტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება წიაღისეულის პასუხისმგებლიანი მოპოვების განმარტებას. ესენია:

- ევროპის კომისია - ევროკავშირისთვის წიაღისეულის მოპოვების ჩარჩო პირობების გაუმჯობესება შემუშავებულია მიწათსარგებლობის დაგეგმვის, ნებართვების გაცემისა და გეოლოგიური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის დროებითი კომისიის მიერ. დოკუმენტში გადმოცემულია წიაღისეულთან დაკავშირებული პოლიტიკის, მისი გამოყენებისა და ავტორიზაციის პროცესების და მიწათსარგებლობის დაგეგმვის საუკეთესო მაგალითები, ასევე სტანდარტები და ტექნიკური ხასიათის ინსტრუქციები.

- წიაღისეულის მოპოვებისა და ლითონების საერთაშორისო საბჭო (ICMM) - სხვადასხვა - ICMM შეიქმნა 2001 წელს წიაღისეულის მოპოვებისა და ლითონების გადამუშავების მრეწველობის მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობის გაზრდის მიზნით. ICMM რეგულარულად გამოსცემს წიაღისეულის პასუხისმგებლიან მოპოვებასთან დაკავშირებულ ანგარიშებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)
- სახელმძღვანელო პრინციპები მულტინაციონალური საწარმოებისათვის - სახელმძღვანელო პრინციპები ეხება საკითხების რიგს და ჩამოყალიბებულია ზოგადი პოლიტიკის დოკუმენტებში (სულ 15). პირველში აღნიშნულია, რომ კომპანიებმა უნდა შეიტანონ წვლილი ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ პროგრესში მდგრადი განვითარების მისაღწევად.

- სამთო საქმე, წიაღისეული და მდგრადი განვითარება (MMSD) - ახალი ჰორიზონტების აღმოჩენა - MMSD შეიქმნა მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IIED) მიერ 2002 წელს. MMSD-მა შეიმუშავა ერთ-ერთი პირველი ყოვლისმომცველი ანგარიში სამთო-მოპოვებით დარგში მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელების შესახებ.

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) - გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის პრინციპების შესრულების სტანდარტები - დოკუმენტი შემუშავებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის - მსოფლიო ბანკის ჯგუფის პარტნიორი ორგანიზაციის მიერ. შესრულების სტანდარტების მიზანია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) - სამთო საქმიანობის პოლიტიკა



- დოკუმენტში აღწერილია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დადგენილი სამთო საქმიანობის პოლიტიკა და განხილულია ფინანსური კორპორაციების პოლიტიკა სამთო საქმიანობაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებით.

გარდა ამ დოკუმენტებისა, რომლებიც აღწერენ სამთო საქმის რეგულირებისა და წარმოების ზოგად საუკეთესო პრაქტიკას, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის დასადგენად გამოყენებულ იქნა შემდეგი ტექნიკური ხასიათის დოკუმენტები:

- ევროკავშირი -კუდსაცავებისა და ნარჩენი ქანების მართვის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები - 2009 წელს შემუშავებული ანგარიში ემყარება ევროკომისიის შეტყობინებას COM (2000) 664 „სამთო-მოპოვებითი საქმიანობის უსაფრთხო წარმოება“. მასში აღწერილია ისეთი კუდსაცავებისა და ნარჩენი ქანების მართვის პრაქტიკა, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა გარემოზე.

- მუავური ჩამონადენის პრევენციის საერთაშორისო ქსელი - მუავა კარიერული ჩამონადენის გლობალური სახელმძღვანელო (GARD) - GARD სახელმძღვანელო ეხება სულფიდური მინერალების დაუანგვით გამოწვეული ჩამონადენის (რომელსაც ხშირად მუავა კარიერულ ჩამონადენს უწოდებენ) პროგნოზირებას, პრევენციასა და მართვას.

7.6 ლიცენზირება და აღსრულება

7.6.1 მიწათსარგებლობის დაგეგმვა და წიაღისეულთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგიები

ევროკომისიის დოკუმენტში - ევროკავშირისთვის წიაღისეულის მოპოვების ჩარჩო პირობების გაუმჯობესება - ნათქვამია, რომ ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ მიწათსარგებლობის დაგეგმვის პოლიტიკა და წიაღისეულის ეროვნული პოლიტიკა - მინერალური რესურსების მართვის შეთანხმებული ამოცანები, რომელთა მიზანია მინერალური რესურსების მოთხოვნისა და მოწოდების ბალანსის უზრუნველყოფა. წიაღისეულის ეროვნულმა პოლიტიკამ ასევე შეიძლება განსაზღვროს სივრცული პროცესები, რომლებიც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ამ მიზნების მისაღწევად. მიწათსარგებლობის დაგეგმვა „უნდა განსხვავდებოდეს წიაღისეულის ეროვნული პოლიტიკისგან, თუმცა მათ შორის კავშირი უნდა იყოს“.

7.6.2 ლიცენზირების პროცესი

სამთო-მოპოვებითი საქმიანობის ლიცენზირება წარმოადგენს პროცესს, რომლისთვისაც საუკეთესო პრაქტიკა იცვლება იმ კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც

აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება. ეს გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, რომლებიც დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე, მთავრობის ხედვაზე ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესახებ, მართვის საუკეთესო პრაქტიკის ცოდნის დონესა და ლიცენზიის გამცემი ორგანიზაციის დამოუკიდებლობაზე.

მსოფლიო ბანკის სამთო მრეწველობასთან დაკავშირებული ლიცენზირების სექტორული კვლევა აღწერს ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებულ ზოგიერთ საუკეთესო პრაქტიკას. ანგარიში ყურადღებას სამ საკითხზე ამახვილებს:

- პროცესი უნდა მოიცავდეს სალიცენზიო ტერიტორიების კარტოგრაფირებისა და რეგისტრაციის გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაზე დაფუძნებულ ზუსტ და თანამედროვე სისტემას, რომლის საშუალებითაც ხდება სალიცენზიო უბნების განსაზღვრა და მიწასთან დაკავშირებული კონფლიქტების მასშტაბების შემცირება;

- ლიცენზირების პროცესი, გარემოსდაცვითი კანონები და დაგეგმვის რეგულაციები უნდა იყოს ნათელი, მარტივი და ძალიან გამჭვირვალე (საჯაროდ ხელმისაწვდომი). აღნიშნული მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციის შესაძლებლობას და პროცესს უფრო სამართლიანსა და ინვესტორებისათვის მიმზიდველს ხდის;

- ლიცენზია უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქონებაზე ექსკლუზიური უფლებით მისი გადაცემის უფლების ჩათვლით. ამით სამთო-მოპოვებით კომპანიებს ეძლევათ თავიანთი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ასევე მცირდება კონფლიქტები კომპანიებს შორის.

ლიცენზირების პროცესის ამ საუკეთესო პრაქტიკას იმეორებს ევროკომისიაც, რომელიც ამბობს, რომ ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის პროცესებში ყველაზე მნიშვნელოვანი არის ორი საკითხი: სიცხადე და სწორად გაგება იმისა, თუ რა არის საჭირო მინერალური რესურსების დაძიებასა თუ მოპოვებაზე ავტორიზაციის მისაღებად.

7.7 სამთო სამუშაოების დაგეგმვა

განვითარებულ ქვეყნებში სამთო სამუშაოების დაგეგმვის დამკვიდრებული პრაქტიკით ხდება შემდეგი ეტაპების გავლა/გათვალისწინება:

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება სამთო სამუშაოების განხორციელების დაწყებამდე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგშ) ჩატარება საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.



ბსგშ კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელისუფლებასა და ადგილობრივ თემებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები სამთო-მოპოვებითი პროცესების მიზანშეწონილობის, ამ პროცესების მიმართ საჭირო მოთხოვნებისა და გამოყენებული ტერიტორიების აღდგენის სტანდარტების შესახებ.

ბსგშ-ში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაძლო ზემოქმედებები შემდეგ ასპექტებზე: წყლის რაოდენობა და ხარისხი; სამთო-მოპოვებითი წარმოების ნარჩენები; ჰაერის ხარისხი და ხმაური; სათბურის აირების ემისიები; დაცული ტერიტორიები; დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არსებული ბიომრავალფეროვნება; ციანიდისა და ვერცხლისწყლის მართვა; სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება; ადამიანის უფლებების დაცვა და უსაფრთხოება, ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ველური ბუნება და თევზის მეურნეობა; კულტურული და არქეოლოგიური რესურსები; გადასახლება.

აქედან გამომდინარე, ბსგშ-მ უნდა შეათვალიყოს:

- პროექტის ყველა ეტაპის ზემოქმედება სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე, დაწყებული წინასამშენებლო პროცესით და დამთავრებული ობიექტის დახურვის შემდგომი ეტაპით;

- პირდაპირი, არაპირდაპირი, გამოწვეული და კუმილატიური ზემოქმედებები;

- პროექტის ზემოქმედების ზონის/ზონების ფარგლებში მოსალოდნელი სხვა მოკლე და ხანგრძლივვადიანი ზემოქმედებები;

- ექსტრემალური მოვლენების შესაძლო ზემოქმედება;

- სამთო-მოპოვებითი კომპანიის მიერ მოპოვებული ფონური მონაცემების სანდოობა, იძლევა თუ არა ის საკმარის ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესათვალისწინებლად;

- საბადოს შემოთავაზებული პროექტისა და ტესტირების სტანდარტების ვარგისიანობა და მისი შესაბამისობა მართვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან;

- ტერიტორიის აღდგენის, ზემოქმედების შერბილებისა და მონიტორინგის გეგმების ვარგისიანობა მართვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით;

- არსებობს თუ არა საკმარისი ფინანსური გარანტიები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის მართვისა და აღდგენისათვის კომპანიის გაკოტრების ან აღდგენის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

საუკეთესო პრაქტიკით ჩატარებული ბსგშ-ს პროცესი უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა



და მონაწილეობას; საჭიროების შემთხვევაში კომპანიამ ხელი უნდა შეუწყოს დაინტერესებული მხარეების პოტენციალის ამაღლებას პროცესში მათი წვლილის გაზრდის უზრუნველსაყოფად.

7.8 კულტურული მემკვიდრეობა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა იმ ნებისმიერი სამრეწველო, განსაკუთრებით სამთო-მოპოვებითი საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოქმედებს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. სამთო მოპოვების საუკეთესო პრაქტიკა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქმიანობის მე-8 სტანდარტით მოითხოვება, რომელიც ადგენს: “კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირება და დაცვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სავსე კვლევისა და აღწერის საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად”. კერძოდ, თუ მოსალოდნელია ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე, ოპერატორმა კომპანიამ უნდა დაიქირაოს კომპეტენტური პროფესიონალები კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და დაცვის მექანიზმების ჩამოსაყალიბებლად.

კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა მოითხოვს ოპერატორი კომპანიისგან “შემთხვევითი აღმოჩენის” პროცედურის არსებობას. აღნიშნული პროცედურის მიხედვით, ოპერატორი კომპანიის მიერ პირველადი ან დამატებითი კულტურული

მემკვიდრეობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში ისინი ხელუხლებელი უნდა დარჩეს მანამ, სანამ მათ კომპეტენტური პროფესიონალი არ შეისწავლის.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის სამ ფორმას: აღდგენადი, არააღდგენადი და კრიტიკული. სამივე შემთხვევაში უპირატესობა ზემოქმედების აცილების სტრატეგიას უნდა მიენიჭოს.

აღდგენადი კულტურული მემკვიდრეობა არის ისეთი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც შეიძლება გადატანილ ან ჩანაცვლებულ იქნეს.

ისტორიული უბანი შეიძლება ჩაითვალოს აღდგენად კულტურულ მემკვიდრეობად, თუ მისი ისტორიული და კულტურული ღირებულებები სხვა უბნებზედაც არის წარმოდგენილი.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის შესაძლებელი აღდგენად კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების აცილება, ოპერატორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი:

- აღდგენადი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ფუნქციონირება;

- აღდგენადი კულტურული მემკვიდრეობის გადატანა;

- ალდგენადი კულტურული მემკვიდრეობის არტეფაქტების გატანა; ან

- კომპენსაციების გაცემა იმ თემებისათვის, რომლებიც სარგებლობდნენ აღნიშნული ალდგენადი კულტურული მემკვიდრეობით.

არაალდგენადი კულტურული მემკვიდრეობა არის ისეთი კულტურული მემკვიდრეობა, რომლის გადატანა შეუძლებელია მისი უნიკალური ხასიათის (ისტორიული უბნების შემთხვევაში) ან სპეციფიკური სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის (მკვიდრი თემების შემთხვევაში) გამო.

არაალდგენადი კულტურული მემკვიდრეობის მოშლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- არ არსებობს სხვა ალტერნატივა;

- პროექტის სარგებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს არაალდგენადი კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებას;

- მოშლა ხდება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებით.

კრიტიკული კულტურული მემკვიდრეობა არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ან ეროვნული კანონებით დაცული კულტურული მემკვიდრეობა. დაუშვებელია კრიტიკული კულტურული მემკვიდრეობის მოშლა, დაზიანება ან მისი რაიმე სახით ცვლილება. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია კრიტიკული კულტურული მემკვიდრეობის მოშლა ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და დაინტერესებულ მხარეებთან გარეშე ექსპერტის ხელმძღვანელობით ჩატარებული კონსულტაციების შედეგად. ასეთ შემთხვევაში ოპერატორმა კომპანიამ უნდა განახორციელოს პროგრამები მიმდებარე ტერიტორიების შენარჩუნების მიზნით.

7.9 სამოთ სამუშაოების საუკეთესო პრაქტიკა

7.9.1 სოციალურ-ეკონომიკური და შრომის პირობები

სამუშაო ადგილები და მაღალი ხელფასები სამოთ წარმოების მიერ ადგილობრივი თემებისთვის უზრუნველყოფილი ერთ-ერთი მთავარი სარგებელია, ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური და მუშახელის სამუშაო პირობები საუკეთესო პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. გარდა ამისა, სამუშაო პირობები გავლენას ახდენენ მიგრანტი მუშახელის რაოდენობასა და მათ ურთიერთობაზე ადგილობრივ თემებთან.

სოციალურ-ეკონომიკური და სამუშაო პირობების საუკეთესო პრაქტიკა მოიცავს

შემდეგს: კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება, დასაქმებისა და სარგებლის პირობები და ოკუპაციური ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. საუკეთესო პრაქტიკა ჩამოყალიბებულია მოთხოვნების სახით შემდეგ დოკუმენტებში: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) - სახელმძღვანელო პრინციპები მულტინაციონალური საწარმოებისათვის, საერთაშორისო სოციალური პასუხისმგებლობის SA8000 სტანდარტი (2008), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაცია სამუშაო ადგილებზე ფუნდამენტური პრინციპებისა და პირობების შესახებ (1998), და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქმიანობის სტანდარტი 2: შრომისა და სამუშაო პირობები (2012).

7.9.2 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება

კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება ხშირად პროფკავშირების ფორმას იღებს, რაც დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის მოლაპარაკებების წარმოების ერთ-ერთი საშუალებაა. ასეთი მოლაპარაკებები ძალიან მნიშვნელოვანია სამართლიანი სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის.

ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში აღწერილი საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ოპერატორმა კომპანიამ პატივი უნდა სცეს მუშების უფლებას, ჩამოაყალიბონ პროფკავშირები და აირჩიონ წარმომადგენლები. ასევე ოპერატორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ისინი სათანადო სივრცითა და საჭირო ინფორმაციით კოლექტიური



ხელშეკრულებების შესამუშავებლად და შრომისა და ანაზღაურების პირობებზე მოლაპარაკებების საწარმოებლად.

7.9.3 დასაქმების პირობები

დასაქმების ისეთმა პირობებმა, რომლებიც არ შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე და გამოიწვიოს სოციალური, პოლიტიკური თუ რელიგიური დაპირისპირება. გარდა ამისა, სამთო სამუშაოებზე დაკავებული ადგილობრივი პირები შეიძლება დაუცველი აღმოჩნდნენ მათ მიმართ განხორციელებული ისეთი ქმედებებისაგან, როგორცაა სამუშაოდან განთავისუფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დაბალი ანაზღაურების შეთავაზება, საფრთხის შემცველი სამუშაო პირობები და იძულებითი/ბავშვების შრომა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში აღწერილი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება:

- სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრული საუკეთესო ანაზღაურების უზრუნველყოფა - მინიმალური ხელფასი, რომელიც დააკმაყოფილებს მუშებისა და მათი ოჯახების ძირითად მოთხოვნილებებს;

- შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი მუშახელის გამოყენება, მათი სწავლება შესაბამისი უნარ-ჩვევების სრულყოფის მიზნით;

- დროული შეტყობინება კოლექტიური განთავისუფლების შესახებ;

- მუშათა საჩივრების მექანიზმის შექმნა;

- ყველა იმ წესის გასატარობა, რომლებსაც შეუძლიათ, იქონიონ მატერიალური ზემოქმედება თანამშრომლების კეთილდღეობაზე;

- იძულებითი შრომის აკრძალვა;

- ბავშვთა შრომის აკრძალვა. არასახიფათო სამუშაოებზე დაკავებული პირების მინიმალური ასაკი 15 წლით ან ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ასაკით (რომელიც უფრო მეტია) უნდა განისაზღვროს. სახიფათო სამუშაოებზე მინიმალური ასაკი უნდა იყოს 18 წელი.

- რასის, ფერის, სქესის, სარწმუნოების, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის ნიადაგზე დისკრიმინაციის აკრძალვა.

7.9.4 შრომა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

სამთო სამუშაოების სახიფათო ხასიათის გამო ძალიან მნიშვნელოვანია სამთო-მოპოვებითი კომპანიების მიერ ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება სამუშაოებზე დაკავებული თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკა ძალიან ფართოა, თუმცა ის, ძირითადად, სამ მთავარ საკითხს მოიცავს:

- მუშებს აქვთ უფლება, იცოდნენ მათ სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნენ სწავლებით სამუშაოს უსაფრთხოდ შესასრულებად;

- მუშებს აქვთ უფლება, უარი თქვან სახიფათო სამუშაოზე;

- მუშებს აქვთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია, გაიარონ ტრენინგები, მიიღონ მონაწილეობა კონსულტაციებში და ჩაერთონ ოკუპაციური ჯანმრთელობის ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელების პროცესში;

7.10 წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება

7.10.1 წყლის გამოყენება და მისი დაბინძურება

სამთო-მოპოვებითი ინდუსტრიის წარმომადგენლები წყლის სხვა მოსარგებლეებისთვის აღნიშნული რესურსის დანაკარგის და/ან დაბინძურების შერბილების მიზნით ოპერირებენ ისეთი პრინციპით, რომელიც



მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადგილობრივი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების რაოდენობის შემცირებასა და ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ფონურ დონეებთან შედარებით. კარიერული ჩამონადენი წყლები, სულ მცირე, უნდა შეესაბამებოდეს ევროპული თანამეგობრობის საბჭოს მიერ 1998 წლის 3 ნოემბერს მიღებულ 98/83/EC დირექტივას, რომელიც ადგენს სტანდარტებს ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილ წყლის ხარისხზე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სამთო საქმიანობის პოლიტიკა წიაღისეულის მოპოვებაში ჩართული კომპანიებისათვის განსაზღვრავს წყალთან დაკავშირებულ 5 სტრატეგიულ მოთხოვნას:

- სათანადო ფონური კვლევების ჩატარება ტერიტორიაზე არსებული წყლების ხარისხის, რაოდენობისა და გამოყენების დასადგენად;

- ინფრასტრუქტურული ობიექტების ისე დაპროექტება, რომ წარმოებისათვის საჭირო წყლის ამოღებამ და გამომუშავებულმა წყალმა არ მოახდინოს უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, წყლის სხვა ობიექტზე (ზედაპირულ თუ მიწისქვეშა) ან სხვა არსებული თუ მომავალი წყლით მოსარგებლების წყლით მომარაგებაზე;

- ინფრასტრუქტურული ობიექტების ისეთნაირად დაპროექტება, რომ გამოირიცხოს უარყოფითი ზემოქმედება ზედაპირული თუ მიწისქვეშა წყლის ნებისმიერი ობიექტის წყლის ხარისხზე;

- წყლის გამოყენების მინიმუმამდე შემცირება, წყლის გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების შესაძლებლობების განხილვა;

- დაუშვებელია ისეთი ნარჩენი წყლების გარემოში გაშვება, რომელიც არ შეესაბამება სანებართვო სტანდარტებს ან ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებს.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების წარმატებით შესასრულებლად ICMM-ის მიერ შემოთავაზებულია 4 - ეტაპიანი მიდგომა სამთო-მოპოვებითი საქმიანობის პროცესში წყლის რესურსების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად:

1) საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებული, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია წყალთან დაკავშირებული საფრთხეების, მართვის ღონისძიებებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;

2) ოპერატორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, რაც ოპერატორ კომპანიას მისცემს საშუალებას, გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს საკუთარი პრიორიტეტები, გეგმები და შეათანხმოს გადაწყვეტილებები;

3) გამოყენებულ უნდა იქნეს წყალშემკრებ აუზზე მიდგომა, რაც გულისხმობს ყურადღების გამახვილებას წყალშემკრები აუზის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც საბადოს ქვედა ბიეფში მდებარეობს. ამით შესაძლებელი ხდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე საბადოს გავლენის შესწავლა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ოპერატორი კომპანიის მიერ წყალშემკრების ფარგლებში წყლის სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობის კარგად გაგებას წყალთან დაკავშირებული რისკების გამოსავლენად და წყლის რესურსების მართვის დასაბეგმად;

4) ოპერატორმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს წყლის რესურსების ეფექტიანი მართვა. მიღებული, მოხმარებული და გაშვებული წყლის (რაოდენობა და ხარისხი) მართვა იძლევა რესურსების მდგრადობის მაქსიმუმამდე გაზრდის, ოპერატიული მოქნილობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნული მიდგომა მოითხოვს შესაბამისი კვლევების ჩატარებასა და დოკუმენტების შემუშავებას, მათ შორისაა: წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამა, წყლის ფონური რაოდენობისა და ხარისხის დადგენა და ჰიდროლოგიური მოდელირება. სანებართვო პროცესში ოპერატორმა კომპანიამ უნდა შეიმუშაოს წყლის ხარისხთან დაკავშირებული იმ პრობლემების მართვის გეგმები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას გაუონვის, საფენების დაზიანების, კუდსაცავების საფენების დაზიანების, კუდსაცავების დამბების ან ფუჭი ქანების სანაყაროების გეოტექნიკური სტაბილურობის დარღვევით და ა.შ. გარდა ამ გეგმებისა, კომპანიამ შეიძლება მოამზადოს წყლის რაოდენობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემების მართვის გეგმები, როგორცაა სანიაღვრე წყლების გაშვება და მდინარეებში ფონური ხარჯის შემცირება ნაკადის მიმართულების შეცვლის ან მიწისქვეშა წყლების გამოღვევის შედეგად. ICMM-ის მიდგომის (იხ.ზემოთ) თანახმად, აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

7.10.2 ნარჩენები

სამთო წარმოების ნარჩენების მართვა, წყლის დაბინძურების მსგავსად, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ასპექტს საბადოს მიერ მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების დასადგენად. ბსგზ-სა და სააგენტოს მიერ სამთო პროექტის შესწავლის დროს განხილულ უნდა იქნეს მოპოვებისა და დამუშავების ისეთი ალტერნატიული და მისაღები ვარიანტები, რომლებსაც შეუძლიათ სამთო წარმოების ნარჩენების რაოდენობისა და მათი ზემოქმედების შემცირება. ასეთ მეთოდებს წარმოადგენს გამომუშავებული კარიერების შევსება ნარჩენი ქანებით და კუდსაცავებზე პასტიციური და გაუწყლიანებული ნარჩენების განთავსების



მეთოდების გამოყენება. გარემოსდაცვითი ზემოქმედების შემცირებისა და მართვის მეთოდების გამოყენების გარდა, აუცილებელია მონიტორინგის განხორციელება შემდეგ ასპექტებზე: 1. ნარჩენების ქიმიური და გეოტექნიკური მდგრადობა; 2. შესაძლო გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჰაერზე, წყალზე, ველურ ბუნებასა და მეთევზეობაზე; 3. ტერიტორიის აღდგენა და გამწვანება; 4. გარემოსდაცვითი აუდიტი და სტანდარტებსა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის შემოწმება. შესაბამისობის შესამოწმებლად აუცილებელია მომზადებული კადრებით დაკომპლექტებული და სათანადო სამართლებრივი სტატუსისა და შესაძლებლობების მქონე ისეთი სააგენტოს არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულებას.

ნარჩენების მართვის საუკეთესო პრაქტიკა განსაზღვრულია შემდეგ ძირითად დოკუმენტებში: სამთო წარმოების ნარჩენების დირექტივა (2006/21/EC) და ევროპის პარლამენტის მიერ სევესოს II დირექტივის შესწორება (2003/105/EC) , მუავა კარიერული ჩამონადენის გლობალური სახელმძღვანელო (GARD) და ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი კუდსაცავებისა და ნარჩენი ქანების მართვის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების შესახებ (2009 წლის იანვარი).

ნარჩენების მართვის ობიექტების პროექტირება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს (არამართო) შემდეგი:

- კუდსაცავების ჯებირები უნდა დაპროექტდეს ისე, რომ გაუძლონ გრძელვადიან კატასტროფულ მოვლენებს. შეძლებისდაგვარად უნდა დაპროექტდეს და აშენდეს ისეთი ობიექტი, რომელიც იქნება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრადი და ხანგრძლივ პერიოდში ექნება დანგრევის დაბალი რისკი, მოითხოვს მინიმალურ ტექნიკურ მომსახურებას და ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ თავსებადი იქნება მიწათსარგებლობის ადგილობრივ ხასიათთან;

- კუდსაცავების პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს გაუონვის საწინააღმდეგო სისტემები, ისევე, როგორც სპეციალური საგებები იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა წყლის ხარისხზე ზემოქმედების მართვა. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს მონიტორინგის ჭები და სისტემები გაუონვის შემთხვევებისა და წყლის ხარისხთან დაკავშირებული სხვა პრობლემების დასაფიქსირებლად.

- გროვული გამოტუტვის ობიექტები აღჭურვილი უნდა იყოს სინთეტიკური საფენითა და

გამონაშრონის შემკრები სისტემით, აგრეთვე მონიტორინგის ქებითა და სისტემებით გააქონების დასაფიქსირებლად. აღნიშნულმა ქებმა შეიძლება შეასრულონ ტუმბოს ფუნქცია გაქონების შესაჩერებლად;

- ფუჭი ქანის სანაყაროები, რომლებიც შეიცავენ მუავა ჩამონადენის წარმომქმნელ ან ლითონების შემცველ ქანებს (PAG/ML), უნდა დაპროექტდეს და აშენდეს ისე, რომ ტერიტორიის ნიადაგით დაფარვამდე მუავა ჩამონადენის წარმომქმნელი ან ლითონების შემცველი ქანები იზოლირებული იყოს გარემოსგან მუავა ჩამონადენის არწარმომქმნელი (NAG) ნარჩენებით ან საფენით. გარდა ამისა, ისინი უნდა აღიჭურვოს მონიტორინგის ქებითა და სისტემებით პრობლემების დასაფიქსირებლად;

- სანიაღვრე და საწარმოო წყლების საგუბარები უნდა დაპროექტდეს 100 - წლიანი განმეორადობის 24 - საათიანი ექსტრემალური მოვლენების გათვალისწინებით.

ანგარიშგება/მონიტორინგი: ანგარიში, რომელშიც უნდა აისახოს წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი და/ან გარემოში გაშვებული ტოქსიკური ნივთიერებების მოცულობა და შემუშავდეს აშშ-ს გარემოს დაცვის სააგენტოს (USEPA) დოკუმენტში - „გარემოში გაშვებული ტოქსიკური ნივთიერებების ინვენტარიზაციის პროგრამა სამთო დარგისთვის“ - განსაზღვრული წესების შესაბამისად, უნდა გამოქვეყნდეს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ საბადოს ან ოპერატორი კომპანიის ელექტრონულ გვერდზე.

7.10.3 ხმაური და ჰაერის დაბინძურება

გარდა წყლის დაბინძურებისა და ნარჩენების წარმოქმნისა, საბადოების დამუშავება იწვევს ჰაერის დაბინძურებას, პირველ რიგში - წვრილი ნაწილაკებით (მტვერი). მიუხედავად იმისა, რომ ჰაერის დაბინძურება არ იწვევს გრძელვადიან ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოებაზე ისე, როგორც წყლის დაბინძურება და ნარჩენები, მასაც აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ადამიანებისა და ეკოსისტემების ჯანმრთელობაზე მიმდებარე ტერიტორიებზე.

7.10.4 ხმაური

სამთო სამუშაოები წარმოქმნიან ხმაურის მაღალ დონეებს როგორც აფეთქებების, ისე მთელი რიგი სხვა საქმიანობების შედეგად. ხმაურის მაღალი დონეები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოსდაცვითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების თანახმად, ხმაურის დონეები დასახლებულ ტერიტორიებზე

არ უნდა აღემატებოდეს 55 დეციბელს დღე-ღამის ნებისმიერ და 45 დეციბელს 22:00 სთ-სა და 07:00 სთ-ს შორის. დასახლებულ ტერიტორიებზე სტანდარტის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად სამთო საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა შეასრულოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ რეკომენდებული კონკრეტული ღონისძიებები:

- დამმუშავებელი ობიექტების გარსით უზრუნველყოფა;

- ხმის ბარიერების და/ან ხმაურდამჭერების დამონტაჟება, ხმაურის წარმომქმნელი აღჭურვილობის (სამსხვრევი, საფქვაკი და გასაცრელი მოწყობილობები) გარსში მოთავსება ან მათთან ახლოს წინააღობების მოწყობა;

- ობიექტის საზღვართან ისეთი ბუნებრივი ბარიერების მოწყობა, როგორცაა მცენარეული წინააღობები ან მიწის ბერძები;

- ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია, კერძოდ, ავტომანქანების უკუსვლის აუცილებლობის მინიმუმამდე დაყვანა (რაც შესაბამის სიგნალებს შეამცირებს) და უახლოეს მგრძნობიარე რეცეპტორებამდე მანძილების მაქსიმუმამდე გაზრდა.

7.10.5 ჰაერი

მტვერი (PM¹⁰ და PM^{2.5}) სამთო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროა. მტვერი წარმოიქმნება აფეთქებების შედეგად, კუდსაცავებიდან, ნარჩენი ქანის სანაყაროებიდან, ქანების მსხვრევისა და ფქვის, ტვირთვისა და ტრანსპორტირების შედეგად. მტვრის ემისიები სამთო სამუშაოებით გამოწვეული ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჰაერის დაბინძურებას გოგირდის დიოქსიდის (SO₂) ემისიაც იწვევს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დადგენილი გარემოსდაცვითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების თანახმად, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

დამაბინძურებელი	გასაშუალოების პერიოდი	სიდიდე ug/m3
SO ₂	24 საათი	20
PM ₁₀	1 წელი	20
PM ^{2.5}	1 წელი	10

მტვრის ემისიების შესამცირებლად რეკომენდებულია შემდეგი პრაქტიკის გამოყენება:

- მტვრის შემცირების მეთოდების (მაგ., მორწყვა, უნივერსალური ზედაპირები, შემავსებლები) გამოყენება გზებსა და სამუშაო უბნებზე, ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია და ავტომანქანების სინქარის შემცირება;

- მცენარეულ საფარს მოკლებული ნიადაგებისა და სხვა ეროზირებადი მასალების გამწვანება ან საფარით უზრუნველყოფა;

- ახალი ტერიტორიების მცენარეებისგან გასუფთავება და გახსნა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში;

- გამოუყენებელი ზედაპირების გამწვანება ან სხვაგვარად დაცვა მტვრის წარმოქმნისაგან.

- მტვრის წარმოქმნელი მასალების შენახვა შემოგარსულ საცავებში ან მტვრის შემამცირებელი ტექნოლოგიების გამოყენებით;

- მასალების ჩატვირთვა, გადატანა და ჩამოცლა მინიმალური სიმაღლეებიდან ქარისგან მოფარებულ ადგილებში. მტვრის შემამცირებელი აეროზოლური სისტემების გამოყენების შესაძლებლობის განხილვა.;

- მტვრის წარმოქმნელი მასალების კონვეიერული სისტემების გადახურვა და ლენტის გამწმენდი საშუალებებით აღჭურვა.

7.11 საბადოს დახურვა და ტერიტორიის აღდგენა

7.11.1 საბადოს დახურვა

სამთო სამუშაოებისა და გამოლევადი რესურსების მოპოვების ხასიათიდან გამომდინარე, გარდაუვალი ხდება საბადოების დახურვა, რომლის შემდეგაც რჩება მკვეთრად შეცვლილი ლანდშაფტი. ამიტომ აუცილებელია საბადოების დახურვისა და ტერიტორიის აღდგენის გეგმის შემუშავება. დახურვისა და ტერიტორიის აღდგენის გეგმის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე სამთო სამუშაოების უარყოფითი ზემოქმედების შერბილება და დახურვის შემდეგ დადებითი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული სარგებლის შენარჩუნება და გაზრდა.

წიაღისეულის მოპოვებისა და ლითონების საერთაშორისო საბჭოს მიერ საბადოების დახურვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების თანახმად, საბადოს დახურვის გეგმა უნდა შემუშავდეს ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე უნდა შემუშავდეს დახურვის კონცეპტუალური გეგმა, ხოლო მეორეზე - დახურვის დეტალური გეგმა. დახურვის კონცეპტუალური გეგმა უნდა შეიქმნას საბადოს დაპროექტების საწყის ეტაპზე, შესაბამისად, იგი გავლენას ახდენს საბადოს პროექტსა და ექსპლუატაციაზე. დახურვის კონცეპტუალური გეგმა გარდაიქმნება დახურვის დეტალურ გეგმად მაშინ, როდესაც მონაცემები

საბადოს ექსპლუატაციისა და დაინტერესებულ მხარეებსა და გარემოზე მისი ზემოქმედების შესახებ გახდება ცნობილი. დახურვის დეტალური გეგმა უნდა მიჰყვებოდეს დახურვის კონცეპტუალურ გეგმას, თუმცა უნდა შეიცავდეს უფრო დეტალურ ამოცანებსა და ვადებს. ქვემოთ მოცემულია დახურვის გეგმის შინაარსი:

1. ძირითადი საკითხები და დახურვის მიზნები (დახურვის შემდგომი მიწათსარგებლობის ჩათვლით)
2. პროექტისა და ტერიტორიის პროფილი
3. სამუშაოების შეწყვეტის გეგმა
4. საკომუნიკაციო გეგმა
5. შიდა და გარეშე დაინტერესებული მხარეების ჩართვისა და კონსულტაციების გეგმები
6. საჩივრების მოწოდების მექანიზმი
7. სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრამები
8. ექსპლუატაციიდან გამოყვანის პროგრამა
9. რისკების შეფასება
10. დახურვის შედეგების შეფასება (დახურვის კრიტერიუმების დადგენა)
11. დახურვის შემდგომი მართვა
12. დახურვის ხარჯები და ფინანსური უზრუნველყოფა
13. ფიზიკური და ფინანსური გრაფიკი
14. უარი აღდგენაზე
15. სათადარიგო გეგმა
16. მონიტორინგისა და მომსახურების გეგმა

7.11.2 ფინანსური გარანტიები

ვინაიდან წიაღისეულის მოპოვების პროცესი არ არის უსასრულო, აუცილებელია როგორც საქმიანობის დასრულების, ისე ტერიტორიის განმედიის პროცესების დაგეგმვა. აღნიშნული გეგმები წარმოადგენენ ბსგშ-სა და საბადოს ექსპლუატაციაზე ნებართვის გაცემის პროცედურის ნაწილს. დახურვის პრაქტიკული მხარე წინა ნაწილში განვიხილეთ. გარდა ამისა, აუცილებელია დახურვის გეგმის შესრულების ფინანსური გარანტიების წარმოდგენა, ვინაიდან საბადოები პროექტის მიწურულს ნაკლებად მომგებიანი ხდებიან და, შესაბამისად, ოპერატორებს ნაკლებად მიუწვდებიათ ხელი საჭირო ფინანსებზე. ფინანსური გარანტიის მიზანია, დაიცვას საზოგადოება და სახელმწიფო იმ ხარჯებისაგან,

რომელთა განწევაც მათ შეიძლება მოუხდეთ ოპერატორი კომპანიის მიერ ვალდებულებების არშესრულების ან ვერშესრულების გამო. ფინანსური გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბადოს ექსპლუატაციის დაწყებამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნებართვაში განსაზღვრული მოთხოვნები ტერიტორიის აღდგენასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ფინანსური გარანტიის მოცულობა პერიოდულად გადაანგარიშდება სამთო სამუშაოების ზემოქმედების კლებისა და ზრდის შესაბამისად.

წიაღისეულის მოპოვებისა და ლითონების საერთაშორისო საბჭოს (ICMM) დოკუმენტში ფინანსური გარანტიების შესახებ ჩამოთვლილია 5 რეკომენდაცია ფინანსური გარანტიების პოლიტიკის შესამუშავებლად. ესენია:

- საბადოს დახურვისა და ტერიტორიის აღდგენის გეგმების შესრულების სათანადო ფინანსური გარანტიების წარმოდგენა;

- ფინანსური გარანტიის მოქნილობა;

- საბადოს დახურვისა და ტერიტორიის აღდგენის გეგმებში მიმდინარე სამუშაოებისა და ცვლილებების გათვალისწინება;

- ისეთი წესის შემუშავება, რომელიც ოპერატორ კომპანიას ათავისუფლებს დაკისრებული ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი აუდიტი აჩვენებს, რომ კომპანიამ შეასრულა ყველა სამართლებრივი მოთხოვნა და გარემოსდაცვითი რისკები მისაღებ დონეებამდე შეამცირა;

- ეროვნული/რეგიონული საგადასახადო კანონმდებლობისა და მოთხოვნების გათვალისწინება.

არსებობს ფინანსური გარანტიების წარმოდგენის მეთოდების მთელი რიგი. თითოეულ მათგანს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ყველაზე სარწმუნო ფორმებია: შესამე მხარის უპირობო გარანტია, ნაღდი ფულის დეპოზიტი, სატრასტო ფონდები და სადაზღვევო პოლისები.

7.12 დაინტერესებული მხარეების უფლებები/ჩართულობა

7.12.1 დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, იმის გამო, რომ ის ოპერატორ კომპანიებს ოპერირებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი ნებართვით უზრუნველყოფს, რასაც ოპერატორი კომპანიისთვის, ადგილობრივი თემებისა და ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებისათვის მრავალი სარგებელი მოაქვს. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის

საუკეთესო პრაქტიკის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ორჰუსის კონვენცია (იხ. 6.1.2) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამთო საქმიანობის პოლიტიკა.

7.12.2 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მომზადება

საუკეთესო პრაქტიკით დაინტერესებული მხარეების ჩართვამდე აუცილებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნაყოფიერი და ყველასთვის სასარგებლო დიალოგი. გეგმამ უნდა გამოავლინოს დაინტერესებული მხარეები და მათთან ერთად შეიმუშაოს მისაღები კულტურული და გენდერული თვალსაზრისით გამართული გეგმა. ექსპერტებთან/დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უნდა გამოვლინდეს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის წინაშე არსებული ყველა დაბრკოლება და მათი გადალახვის გზები. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დროებითი ან დაუგეგმავი პროცესი შეიძლება გადაიზარდოს არასამართლიან, არაეფექტიან და სოციალური თვალსაზრისით გაუმართლებელ პროცესში და გახდეს სერიოზული პრობლემების წყარო ადგილობრივი თემებისთვის, ოპერატორი კომპანიებისა და ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობებისთვის.

7.12.3 ჩართულობა, კონსულტაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

დაინტერესებული მხარეების ჩართვა უნდა მოხდეს სამუშაოების დაწყებამდე და გაგრძელდეს პროექტის დასრულებამდე. ამით უზრუნველყოფილ იქნება შემდეგი: ყველა აქტიურ დაინტერესებულ მხარეს ექნება ოპერატორ კომპანიასთან კომუნიკაციის ღია არხი ნებისმიერ დროს, ყველა მონაწილეს ექნება ინფორმაცია საკითხებისა და პრობლემების შესახებ მათი წარმოქმნისთანავე და დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ ხელმისაწვდომობა სამთო სამუშაოებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან. ამისათვის საკუთარი პროცედურების შედგენის დროს ოპერატორმა კომპანიებმა უნდა იხელმძღვანელონ ორჰუსის კონვენციით.

ორჰუსის კონვენცია

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ მიღებულ იქნა 1998 წლის 25 ივნისს გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ (UNECE). კონვენციაში განსაზღვრულია სამი ძირითადი პრინციპი: საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის მიღების უფლება, გარემოსდაცვით საკითხებთან

დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება და სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში საკითხის გარჩევის უფლება.

7.12.4 კოტენციალის ამაღლება

დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის მნიშვნელოვანია გონივრული და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა. ამისათვის ოპერატორი კომპანია უნდა დარწმუნდეს, რომ დაინტერესებულ მხარეებს აქვთ ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის საჭირო სამართლებრივი, ტექნიკური, პროცედურული და ლოგისტიკური შესაძლებლობები. თუ დაინტერესებული მხარეები ამ ყველაფერს მოკლებული არიან, შეიძლება საჭირო გახდეს დაფინანსების უზრუნველყოფა, ექსპერტების დახმარება, ტრენინგების ჩატარება და ა.შ. სათანადო დონემდე მათი შესაძლებლობების ასამაღლებლად.

7.12.5 საჩივრები

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის უზრუნველყოფა. ასეთი გზით ოპერატორ კომპანიამდე აღწევს საჩივრები, მოსაზრებები და ინფორმაცია. ეს პრაქტიკა ნაცადია სხვადასხვა დარგში და წარმოადგენს მეტად ეფექტიან საშუალებას დაინტერესებულ მხარეებსა და ოპერატორ კომპანიას შორის კომუნიკაციისათვის, რომლის მეშვეობითაც, ერთი მხრივ, ოპერატორს თავიდან ააცილებს გაუგებრობებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებულ მხარეების აზრის დაცვის მექანიზმს.

7.12.6 გამჟღავნება და ანგარიშგება

წიაღისეულის მოპოვება მთავრობებისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, შემოსავლის სარფიანი და სასურველი წყაროა. ამის გამო ის სხვადასხვა დონეზე კორუფციის წყაროს წარმოადგენს. საერთაშორისო პრაქტიკა მოიცავს მნიშვნელოვან ანტიკორუფციულ სტრატეგიებს, განსაკუთრებით გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

უმეტეს შემთხვევებში კომპანიებმა უნდა შეასრულონ ევროკავშირის გამჭვირვალობის დირექტივა.

7.12.7 ფინანსური ანგარიშგება

მოპოვებითი დარგის გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკას განსაზღვრავს „მოპოვებითი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივა“ (EITI), რომელიც წარმოადგენს “მთავრობების, კომპანიებისა და სამოქალაქო საზოგადოების გლობალურ კოალიციას, რომელიც მუშაობს ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული სარგებლის ღია და ანგარიშვალდებული მართვის გაუმჯობესებისათვის”. EITI-ის სტანდარტი მკაფიო მოთხოვნებს უყენებს იმ მთავრობებს, რომლებსაც სურთ გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება. ესენია:

1. ეფექტიანი ზედამხედველობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან შემდგარი ჯგუფის მიერ.
2. EITI-ის ანგარიშების დროული გამოქვეყნება.
3. EITI-ის ანგარიშები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას სამთო დარგების შესახებ.
4. EITI-ის ყოვლისმომცველი ანგარიშების მომზადება, რომლებშიც შევა სრული ინფორმაცია სამთო დარგის შემოსავლებისა და ნავთობის, გაზისა და სამთო-მოპოვებითი კომპანიების მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი თანხების შესახებ.
5. შემომგების სანდო პროცესი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით.
6. ყოვლისმომცველი, ფართოდ გავრცელებული, ხელმისაწვდომი და საზოგადოებრივი დებატების ხელშემწყობი EITI-ის ანგარიშები.
7. სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან შემდგარი ჯგუფის მიერ ზომების მიღება გამოცდილების შესაბამისად და EITI-ის განხორციელების შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზი.

შესაბამისობა ნორმებსა და სტანდარტებთან

ოპერატორმა კომპანიებმა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით უნდა შეასრულონ ოპერატორი კომპანიებისთვის განსაზღვრული პრინციპები, ასევე ეროვნული კანონები და რეგულაციები, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებები და სანებართვო პირობები. ოპერატორმა კომპანიებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ქვეკონტრაქტორებისა და კონტრაქტორების მიერ ეროვნული კანონებისა და რეგულაციების შესრულება. ინფორმაცია კომპანიის მიერ ნორმებისა და სტანდარტების შესრულების შესახებ უნდა დაფიქსირდეს დოკუმენტებში და გასაჯაროვდეს, თუ ეს შესაძლებელია. შესაბამისობის უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა გარე და დამოუკიდებელი აუდიტი ან შიდა კონტროლი.

7.13 შიდა და გარე კონტროლის მექანიზმები

შიდა კონტროლი (ხარისხის კონტროლი) წარმოადგენს შეფასების მეთოდს, რომელიც იყენებს გარკვეულ პრინციპებსა და სტანდარტებს ორგანიზაციის ანგარიშებისა და იმ სისტემების, პროცესებისა და კომპეტენციების შესაფასებლად, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის მუშაობას. შიდა კონტროლი ასევე ითვალისწინებს შეფასების შედეგების გაცნობას თავისი მომხმარებლებისათვის კომპანიის სანდოობის ამალღების მიზნით (AA1000 AS).

გარე აუდიტი სამთო პროექტების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი იძლევა სამთო კომპანიების მიერ ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების, ისევე, როგორც სანებართვო მოთხოვნებისა და ეროვნული კანონების შემოწმების უნიკალურ შესაძლებლობას. წიაღისეულის მოპოვებისა და ლითონების საერთაშორისო საბჭო (ICMM) გამოყოფს 5 ასპექტს, რომელზედაც ყურადღება უნდა გაამახვილოს გარე აუდიტორმა:

1) *წვერი კომპანიის მდგრადობის პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა წიაღისეულის მოპოვებისა და ლითონების საერთაშორისო საბჭოს (ICMM) მდგრადი განვითარების 10 პრინციპთან და მის სხვა დოკუმენტებში განსაზღვრულ სავალდებულო მოთხოვნებთან.*

2) *კომპანიის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შესაძლებლობები საკუთარი შეფასებისა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებისა და მოლოდინების საფუძველზე.*

3) *იმ სისტემებისა და მიდგომების არსებობა და მათი განხორციელების მდგომარეობა, რომელთაც კომპანია იყენებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად.*

4) *მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების აცილება და შესაძლებლობების განხორციელება მოცემული პერიოდის განმავლობაში.*

5) *კომპანიის მიერ ანგარიშვალდებულების გლობალური ინიციატივის მდგრადი განვითარების სფეროში ანგარიშვალდებულების სახელმძღვანელო პრინციპების შესრულების დონე.*

გარე აუდიტი შესაძლებელია, იყოს ნებაყოფლობითი ან გეგმიური. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც სამთო-მოპოვებითი კომპანიის საქმიანობის სანებართვო და გარემოსდაცვით კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის გარემოსდაცვით აუდიტს ახორციელებს მესამე მხარის წარმომადგენელი კვალიფიციური დამოუკიდებელი საინჟინრო

კომპანია, ჩატარებული კვლევა მეტად მნიშვნელოვანია კომპანიისათვის, დაინტერესებული მხარეებისა და სახელმწიფო მარეგულირებელი სააგენტოსათვის (მაგალითად, ალასკის შტატში ჩატარებული სხვადასხვა გარემოსდაცვითი აუდიტი აშშ-ს სატყეო სამსახურისა და ალასკის შტატის გარემოსდაცვითი კონსერვაციის დეპარტამენტისათვის). ასეთი აუდიტის დროს აუდიტორი ამოწმებს ტერიტორიებს, დოკუმენტაციას, შეუძლია, ჩაატაროს მონაცემთა ანალიზი და სხვა სამუშაოები იმის დასადგენად, მიიღოს, ან აპირებს თუ არა ოპერატორი კომპანია იმ ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს სათანადოდ დაცვასა და შესაბამისობას სათანადო რეგულაციებსა და მოთხოვნებთან. აუდიტორი ადგენს ოპერირებისა და მართვის სუსტ რგოლებს და იძლევა რეკომენდაციებს გამოსასწორებლად.

8. პასუხისმგებელიანი სამთო-მოპოვებითი მრეწველობის ხარჯსარგებლობის ანალიზი



ანგარიშის წინა თავებში აღინიშნა, რომ სამთო-მოპოვებითი წარმოება წარმოადგენს დარგს, რომელსაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად შეუძლია, შეუწყოს ხელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურად გრძელვადიანი უარყოფითი ეფექტის მომტანი შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული გარემოსათვის, ისე ამ მაღალი საფრთხის შემცველ წარმოებაში უშუალოდ დასაქმებული ადამიანებისათვის. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში „პასუხისმგებელიანი“ სამთო მოპოვების პრინციპების დამკვიდრებით ამ უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია და მართვა შესაძლებელი გახდა. ასეთი პასუხისმგებელიანი მრეწველობის პრაქტიკის გატარება დღევანდელ დღეს ქართული სამთო მრეწველობის დარგში გაკვეთლ ხარჯებს მოითხოვს, თუმცა, იმავე დასავლურ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რომ ამ მიმართულებით „დღეს“ დახარჯული სახსრები დადებით ეკონომიკურ ეფექტს იძლევა „ხვალ“. ქვემოთ ვიმსჯელებთ „პასუხისმგებელიანი“ სამთო მოპოვების ხარჯსარგებელიანობაზე და იმ დადებით ეფექტებზე, რომლებიც შეიძლება მოუტანოს კონკრეტული მიმართულებით გატარებულმა სამუშაოებმა აღნიშნულ დარგს. განვიხილოთ შემდეგი მიმართულებები:


- დასაქმებულთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება (შრომის დაცვა);
- გამჭვირვალობა (საზოგადოების ჩართულობა);
- ფუჭი ქანების განთავსების, კუდსაცავებისა და მტვრის გავრცელების კონტროლი (გარემოს დაცვა).

8.1 დასაქმებულთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება (შრომის დაცვა)


წიაღისეულის ამოღება, გადამუშავება და ტრანსპორტირება - ყველა ეს პროცესი წარმოშობს მაღალ რისკს, რომელიც პირდაპირ კავშირშია მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გონივრული სტანდარტების დანერგვა წარმოებაში ამცირებს მსგავს რისკებს, ხოლო საერთო პერსპექტივაში ეფექტიანს ხდის მთლიანად ოპერირების პროცესს.

უბედური შემთხვევების სიხშირე შერჩეული ქვეყნებისათვის

ფატალური ტრავმების სიხშირე



არაფატალური ტრავმების სიხშირე



აღნიშნული საკითხის მართებულობის დასამტკიცებლად საჭიროა, შევადაროთ ერთმანეთს კონკრეტული მონაცემები პრაქტიკების, ტექნოლოგიებისა (სტიმული) და ტრავმების შემთხვევების (რეაქცია) რაოდენობების მიხედვით. საქართველოსათვის ასეთი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მიმართულება, რომელთა მიხედვითაც წარმოვადგენთ პასუხისმგებელიანი ოპერირების პირობებში დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე გაღებული სახსრების საპირინონე დადებით ეკონომიკურ ეფექტს.

8.1.2 გაუმჯობესებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უპირატესობა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენცია მალარობებში ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ (C176) შეიცავს სტანდარტების ჩამონათვალს, რომელთა დაცვაც სავალდებულო უნდა იყოს კომპანიებისათვის, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რატიფიცირებული ქვეყანას ეს კონვენცია. სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კონვენციას. ვინაიდან სომხეთის მალარობებში უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ დეტალური მონაცემების მოპოვება ვერ

მოხერხდა, ძნელია მონაცემთა შეფასება და დადგენა იმისა, გაუმჯობესდა თუ არა სიტუაცია რატიფიკაციის შემდეგ. თუმცა, ILO-ს მონაცემების თანახმად, ეს ურთიერთკავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია შემოსავლის ანალოგიური დონის მქონე ქვეყნებისათვის.


ILO-ს მონაცემებში თითოეული ერთეული წარმოადგენს ტრავმების წლიურ რაოდენობას კონკრეტული ქვეყნისათვის.

ცნობილია (Wilson et al., 2007), რომ არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, ერთი მხრივ, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ILO-ს კონვენციების რატიფიკაციასა და, მეორე მხრივ, ფატალური შემთხვევების რაოდენობას შორის. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის (GNI) წლიური მაჩვენებლის მიხედვით ზედა საშუალო ჯგუფში (\$3'000-\$9'000) შემავალ ქვეყნებს შორის ფატალური შემთხვევების საშუალო რაოდენობა ორჯერ ნაკლებია იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც ILO C176 რატიფიცირებული აქვთ, ეს მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნებში, რომელთაც მოახდინეს ILO C176-ის რატიფიკაცია, ნაკლები ფატალური და არაფატალური ტრავმები აღირიცხება. ეს კორელაცია განსაკუთრებით საინტერესოა დაბალი და ქვედა საშუალო

საშუალოები და მედიანა
 არაფატალური ტრავმის
 შემთხვევების რაოდენობისთვის
 (მაღალშემოსავლიანი ქვეყნები
 გამოირიცხულია). ILO-ს მონაცემები.

არაფატალური ტრავმის შემთხვევების / 1000 მუშა




შემოსავლის ქვეყნების შემთხვევაში. ეს ლოგიკურია, რადგან მოსალოდნელია, რომ მაღალი შემოსავლის ქვეყნები უკვე მანამდეც აკმაყოფილებდნენ შრომის უსაფრთხოების იმ სტანდარტების უმეტეს ნაწილს, რომელთაც კონვენცია ადგენს. ამდენად, საქართველოს მსგავს ქვეყანაში კონვენციის რატიფიკაციითა და მისი პირობების გატარებით მნიშვნელოვან გაუმჯობესებას უნდა ველოდეთ მომუშავეთა ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების კუთხით. ILO-ს მონაცემები აჩვენებს, რომ დაბალი და ქვედა საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ტრავმების რაოდენობა ყოველ 1000 სრულგანაკვეთიან მშრომელზე წლიურად დაახლოებით 0.34 ფატალური და 22.6 არაფატალური შემთხვევით ნაკლებია, როცა ქვეყანას რატიფიცირებული აქვს ILO C176 კონვენცია. მშრომელთა სიცოცხლისა და საარსებო წყაროს გადარჩენის აშკარა დადებითი ეფექტის გარდა, ტრავმების შემცირებას მოაქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგებაც, როგორცაა გამოცდილი კადრის შენარჩუნება, ახალი კადრების გადამზადებაზე დაზოგილი დრო და თანხები, სწორად წარმართული ოპერირება (ნაკლები ოპერაციული წუნი და ხარჯი) და ა.შ.

სლოვაკეთი და ILO C176

მიუხედავად იმისა, რომ არ იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკიას ჰქონდა გეგმიური ეკონომიკა და ძალიან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები საბჭოთა კავშირთან. 1993 წელს სლოვაკეთის ევროკავშირში გაწევრიანებისა და 1998 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სლოვაკეთმა მოახდინა ILO C176-ის რატიფიცირება. წლიურად მას ჰქონდა სამთამადნო სექტორში სამსახურებრივი ტრავმის 1000-ზე მეტი შემთხვევა, ხოლო რატიფიცირების შემდეგ როგორც გრაფიკზეა ნაჩვენები, ტრავმების შემცირება მოხდა თანდათანობით. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა მას შემდეგ, რაც 2006 წელს მიიღეს ახალი კანონი შრომის უსაფრთხოებაზე (კანონები 24 & 25 -2006). ამ ზომების მიღებამ ხელი შეუწყო იმას, რომ სლოვაკეთში 2012 წელს აღრიცხული იყო მხოლოდ 2 ტრავმა იმ სექტორში, რომელშიც 12000 ადამიანი იყო დასაქმებული.

შენიშვნა: ILO-ს მონაცემები. რასაკვირველია, უფრო სიღრმისეული კვლევა იქნება საჭირო, რათა დარწმუნებით ითქვას, თუ რა არის მიზეზი აღრიცხული ტრავმების შემთხვევების შემცირებისა.

დასაქმებულთა ტრავმები, სამთამადნო სექტორი



8.1.3 პროფესიული ტრავმების შემცირების კოტენციური პერსპექტივები

ტენდენციის შესაფასებლად, თუ რამდენად შეიძლება შემცირდეს სამთო-მოპოვებით მრეწველობაში დასაქმებული ადამიანების ტრავმათა შემთხვევების რაოდენობა ILO C176 სტანდარტების დაცვის შედეგად, გამოვიყენეთ სტატისტიკური ანალიზის მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაკვეთში წარმოდგენილი შეფასებები ემყარება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების ე.წ. დიქტომიურ გაგებას, ანუ პრინციპს, რომ ქვეყანა/წარმოება ან ბოლომდე იცავს C176 სტანდარტებს, ან საერთოდ უგულებელყოფს (რეალობაში, რასაკვირველია, რისკის დონე სხვადასხვაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ, მონაცემთა არასაკმარისობის გამო, დეტალური გათვლების გაკეთება გაძნელებულია).

სამსახურებრივი ტრავმების კოტენციური შემცირების შეფასება

პარამეტრი	საქართველო
სამთამადნო სექტორში დასაქმებული (ინდივიდი, 2013)	6,353
ფატალური ტრავმების შემცირების პოტენციალი (შემთხვევა წელიწადში)	2
არაფატალური ტრავმების შემცირების პოტენციალი (შემთხვევა წელიწადში)	144

საქართველოში ფატალური ტრავმების ხარჯი

პარამეტრი	საქართველო
საშუალო თვიური ხელფასი სამთო-მოპოვებით სექტორში 2009 წელს	450
სამთამადნო სექტორში ცალკეული ფატალური ტრავმის მთლიანი ხარჯი	151 000
ტრავმების წლიური რაოდენობის მოსალოდნელი შემცირება	2 ტრავმა
30-წლიან პერიოდში პოტენციური შემცირების დისკონტირებული მთლიანი მოგება	8 024 000

8.1.4 ფატალური სამსახურებრივი ტრავმების მოსალოდნელი შემცირებით მიღებული მოგება

თუ ვკითხავთ მას, ვინც სიკვდილს გადაარჩა გამაფრთხილებელი ზომების წყალობით, აღნიშნული ზომების ღირებულება უსასრულოდ დიდი იქნება. ამავდროულად, იოლი არ არის გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და მეგობრების დარდის ეკონომიკური ერთეულებით გაზომვა. ამის მიუხედავად, არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო კვლევა ე. წ. სტატისტიკური სიცოცხლის ღირებულების (VSL) შესახებ. ეს არის ერთი სტატისტიკური სიცოცხლის გადარჩენით მიღებული მოგების შეფასება, გაზომილი ფულად ერთეულებში; ანუ შემთხვევითი ჰიპოთეზური ნაადრევი სიკვდილის თავიდან არიდების მთლიანი ღირებულების შეფასება.

აშშ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტისათვის (NIOSH) ჩატარებულ კვლევაში (Biddle & Keane, 2011) ავტორები ასკვნიან, რომ სამთო-მოპოვებითი სექტორისათვის ფატალური სამსახურებრივი ტრავმის საშუალო მთლიანი ხარჯი აშშ-ში 1992-2002 წლებში იყო 1,039 აშშ დოლარი (2003 წლის კურსით). ქვემოთ წარმოდგენილია ფატალური ტრავმის მთლიანი ხარჯი. საქართველოსათვის. მნიშვნელობები გამოთვლილია იმ დაშვების საფუძველზე, რომ მთლიანი ხარჯი ქვეყანაში საშუალო თვიური ხელფასის პროპორციულია (NIOSH-ის კვლევის მიხედვით, 2013).

8.1.5 არაფატალური სამსახურებრივი ტრავმების მოსალოდნელი შემცირებით მიღებული მოგება

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სამთამადნო სექტორში სამსახურებრივი ტრავმის საშუალო ხარჯის შეფასების გამოსაყვანად გამოყენებულ იქნა ამერიკაში დოქტორ ჯ. პოლ ლეის (კალიფორნიის უნივერსიტეტიდან) ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევა (2000). ამ კვლევის თანახმად, პიროვნების ტრავმირების შედეგად დაკარგული გამომუშავება შეადგენს ტრავმის მთელი ხარჯის დაახლოებით 50%-ს. სხვა ხარჯები მოიცავს, მაგალითად, სამედიცინო მომსახურების ხარჯებს. საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის არ არსებობს მონაცემები სამსახურებრივ ტრავმებთან დაკავშირებული ყველა სახის ხარჯის შესახებ, მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ სხვადასხვა ხარჯს შორის პროპორცია უცვლელი რჩება (მაგალითად, დაკარგული ხელფასი შეადგენს ტრავმის საერთო ხარჯის დაახლოებით 50%-ს), შესაძლებელია გარკვეული პროგნოზის გაკეთება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი ხარჯები არაფატალური ტრავმებისათვის. ხარჯების შეფასება ემყარება დაშვებას, რომ ურთიერთმიმართება სამსახურებრივ ტრავმებთან

დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის ხარჯებს შორის აშშ-ის ანალოგიურია (ანუ დაკარგული ხელფასი შეადგენს მთლიანი ხარჯის ნახევარს). ასევე დაშვებულია, რომ თითოეული ტრავმის შედეგად 31 სამუშაო დღის გაცდენა (ILO-ს მონაცემების ანალიზი).

არაფატალური ტრავმების ხარჯი

პარამეტრი	საქართველო
საშუალო თვიური ხელფასი სამთამადნო სექტორში 2013 წელს	450
სამთამადნო სექტორში ერთი არაფატალური ტრავმის მთლიანი ხარჯი	1065
ტრავმების წლიური რაოდენობის მოსალოდნელი შემცირება (იხილეთ ცხრილი)	144 ტრავმა
30-წლიან პერიოდში არაფატალური ტრავმების პოტენციური შემცირებით მიღებული დისკონტირებული მთლიანი მოგება	3 834 000

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ეს შეფასებები მოიცავს მხოლოდ არაფატალურ და არაპერმანენტულ ტრავმებსა და მხოლოდ გაზომვად შედეგებს. მაგალითად, არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგიური ტრავმები.


8.2 გამჭვირვალობის ზრდით მიღებული მოგება

მოპოვებითი საწარმოების გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) მოთხოვნები სამთო-მოპოვებითი სექტორში გამჭვირვალობის შესახებ (EITI, 2013):

1. ეფექტიანი მეთვალყურეობა მრავალი დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი ჯგუფის მიერ.
2. EITI-ის ანგარიშების დროულად გამოქვეყნება.
3. EITI-ის ანგარიშების წარმოება, რომლებიც შეიცავს კონტექსტუალურ ინფორმაციას მომპოვებელი საწარმოების მიერ.
4. სრული EITI-ის ანგარიშების შექმნა, რომლებიც შეიცავს სრულ სამთავრობო ინფორმაციას მოპოვებითი საწარმოების შემოსავლების შესახებ და ინფორმაციას მთავრობისათვის მატერიალურად, ნავთობით, აირით და სამთამადნო კომპანიების მიერ შესრულებული გადახდების შესახებ.
5. სანდო გარანტირების პროცესები, წარმართული საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.
6. EITI-ის ანგარიშები უნდა იყოს გასაგები, აქტიურად მხარდაჭერილი, საჭაროდ ხელმისაწვდომი და შეჭონდეს წვლილი საჭაროდებატებში.

მოპოვებითი საწარმოების გამჭვირვალობის ინიციატივა EITI-ის მიხედვით, სამთო-მოპოვებითი დარგის გამჭვირვალობა ხელს უწყობს ურთიერთობის გაუმჯობესებას მწარმოებელ ქვეყნებსა და საერთაშორისო ინვესტორებს შორის, სანდოს ხდის კონკრეტული წარმოების რეპუტაციას და, იმავე დროს, უზრუნველყოფს ღირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

საშუალო წლიური FDI შემოდინება ქვეყნის EITI სტატუსის მიხედვით. წყარო: Schmaljohann (2013)



ასეთი კორელაცია გამოწვეულია იმით, რომ EITI-ში გაწევრიანებითა და შესაბამისი მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებით მნიშვნელოვანი სიგნალი ეგზავნებათ ინვესტორებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს ქვეყნის მთავრობის სტაბილურობის, თანამედროვე განვითარების მზაობისა და ნების შესახებ.


საქართველოსთვის არსებობს EITI-ის წევრობის დამატებითი მოტივაცია კონკრეტულად გაწერილი 2004/109/EC დირექტივის შესწორებულ ვერსიაში, რომელიც შედის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში.

ყირგიზეთი და EITI

ყირგიზეთის სამთამადნო მრეწველობა მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის ეკონომიკისთვის. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებისთვის უცნობი იყო სამთამადნო სექტორის ზუსტი წილი. ყირგიზეთმა დაიწყო EITI-ისთვის ანგარიშების წარდგენა 2004 წელს და სრული წევრი გახდა 2011 წელს. პირველ წელს კომპანიების ანგარიშები მათ მიერ მთავრობისათვის გადახდილი შემოსავლის შესახებ ძალიან განსხვავდებოდა მთავრობის ანგარიშებიდან მიღებული გადასახადების შესახებ; მაგრამ ეს განსხვავება თანდათან შემცირდა და თითქმის გაქრა 2008 წლიდან. ეს, ალბათ, არ უნდა გავიგოთ, როგორც კორუფციის აღმოფხვრა. საწყის განსხვავებას შეიძლება სხვა მიზეზები ჰქონოდა, და თუ ეს მიზეზი, მართლაც, კერძო ხელში გადაცემული ფული იყო, მაშინ ამ კორუფციას შეიძლება სახე ეცვალოს, რათა დაფარულიყო. ამის მიუხედავად, გასაჭაროებულ შემოსავლები საზოგადოებასა და სამოქალაქო სექტორს აძლევს იმის უკეთეს შესაძლებლობას, რომ მთავრობასა და კორპორაციებს პასუხი მოსთხოვონ.

შენიშვნა: გრაფიკი აღებულია ყირგიზეთის ქვეყნის პროფილიდან EITI-ის ვებგვერდზე.
URL: eiti.org/kyrgyzrepublic.

მილიონი აშშ დოლარი



■ კომპანიის გადასახადები
■ მთავრობის შემოსავლები

8.2.1 გამწვანების გარეშე მართვის ხარჯები

EITI-ის მოთხოვნების ყოველდღიურობაში უზრუნველსაყოფად საჭიროა პერსონალის გარკვეული მომზადება. EITI-ის მოთხოვნების დანერგვისა და შესრულების ხარჯების შესახებ არავითარი შედარებითი კვლევა არ არსებობს. თუმცა არსებული პრაქტიკა შეიძლება გამოდგეს სახელმძღვანელოდ ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც განიხილავს ინიციატივაში გაწვევრიანებას.

8.3. ფუფი ქანების, კუდსაცავებისა და მცვრის კონსტრუქციები

ანგარიშის წინა თავეებში მოთხოვნილია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის მხრიდან გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ნეგატიურ ეფექტზე. ქვემოთ მოცემულია „პასუხისმგებლიანი“ მოპოვების დადებითი შედეგები აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში.

8.3.1 მალაროების ნარჩენების მართვის გაუმჯობესების უპირატესობები

სამრეწველო ობიექტებისა და ადგილობრივ დონეზე ავადობის კოეფიციენტს შორის შედეგების სტატისტიკური ანალიზი (2003-2011 წლები) მიგვანიშნებს, რომ რაც უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული სამრეწველო სექტორში, მით უფრო მაღალია ადგილობრივ დონეზე ავადობის მაჩვენებელი. 1000 სულზე მაჩვენებლის (ავადობა / 1000 მოსახლეზე) გამოყენების შემთხვევაში დადებითი კორელაცია აღმოჩნდა ავადობის ოთხივე ტიპსა (სისხლის მიმოქცევის, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი და/ან შარდ-სასქესო სისტემების), კონკრეტულად, სამთო-მოპოვებით სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას შორის.

8.3.2 ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ხარჯები

ფუფი ქანის, კუდსაცავებისა და მცვრის გამოყოფის მართვის გაუმჯობესების ხარჯები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სტანდარტები დაინერგება სამრეწველო ობიექტზე და ქვეყნისათვის სპეციფიკურ სხვა მრავალ ფაქტორზე, როგორცაა აღჭურვილობისა და შრომის ფასი. მაგრამ, საერთაშორისო კვლევების საფუძველზე შესაძლებელია ფასების ცვალებადობის საზღვრების გარკვეული მაჩვენებლების გამოყვანა.

2001 წელს ევროკომისიისთვის მომზადდა ანგარიში ევროკავშირში სამთამადნო მრეწველობის ნარჩენების მართვის მიმართ მოთხოვნების გაზრდის პოტენციური ხარჯებისა და ფასებზე ზემოქმედების შესახებ (Symonds & COWI, 2001). კვლევა არჩევნებს, რომ ა) ნარჩენების მართვაზე განეული ხარჯები არ იწვევს დიდ ზემოქმედებას მთლიანი ხარჯების ზრდაზე და ბ) ასეთ დანახარჯებს არ აქვთ უარყოფითი ზეგავლენა წარმოებული პროდუქციის ფასსა და ბიზნესის რენტაბელობაზე.





9. არსებული პრობლემები და რეკომენდაციები

ამჟამად საქართველოში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სექტორში არსებული პრობლემები:

- სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სექტორის მდგრადი განვითარებისთვის შესაბამისი პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა;
- სუსტი საკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები;
- არაეფექტიანი გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემა;
- სუსტი უწყებათაშორისი კოორდინაცია/ თანამშრომლობა გარემოსდაცვით, კულტურულ და სოციალურ საკითხებში;
- სახელმწიფო უწყებებსა და წიაღის მოპოვების ბიზნესში პროფესიული განათლების მქონე არასაკმარისი ადამიანური რესურსი;
- კომპანიების მოძველებული ან თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გამოვლენილი პრობლემებისა და გამოწვევების საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები:

1. საქართველოს მთავრობის მიერ სამთო-მოპოვებითი მრეწველობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო კონვენციების შესწავლისა და მათთან მიერთების შესაძლებლობის განხილვის დაწყება;
2. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სხვა სექტორულ სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები;
3. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დაინერგოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა წიაღის მოპოვების სექტორში;
4. დაწესდეს გარემოსდაცვითი და სოციალური რეგულაციები სამთო-მოპოვებით მრეწველობაში, რომლებიც დაახლოებული იქნება ევროკავშირის მოთხოვნებთან და შესაბამისობაში - ევროდირექტივებთან;
5. მოქმედ მარეგულირებელ ბაზაში დეტალურად განისაზღვროს ლიცენზიის გაუქმების პირობები, რაც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებისა და წიაღის მოპოვების საკითხებთან;
6. განვითარდეს გარემოს (ჰაერის, წყლის, ნიადაგის, ნარჩენების მართვის) მონიტორინგის სისტემა;
7. მოხდეს წიაღის მოპოვებისა და მოპოვების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების შემუშავება;
8. შეიქმნას უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წიაღის მოპოვების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მაღალი რისკების შემცირებას;
9. მოხდეს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში წიაღის მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე მიდგომების თემატური სასწავლო კურსების დანერგვა;
10. სამთო-მოპოვებითმა საწარმოებმა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე დაიწყონ საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ტექნოლოგიების განახლება.







10. დასკვნა

როგორც წარმოდგენილი კვლევა გვიჩვენებს, დღეისათვის საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც მოითხოვს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებთან და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღნიშნული დარგის განვითარებას და სახელმწიფო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას.

სამთო-მოპოვებით სექტორში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი რეფორმების გატარება უზრუნველყოფს დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოების პირობებს, წიაღის მოპოვებისა და მის მიმდებარე არეალებში მცხოვრები ადამიანებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვას, ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოსვლასა და სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას. ყოველივე ეს აისახება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე.

CENN - საქართველო

სათავო ოფისი
ბეთლემის ქ. №27
0105. თბილისი
ტ +995 32 275 19 03/04
ფ +995 32 275 19 05
info@cenn.org
www.cenn.org

CENN - სომხეთი

ჰერაცის ქ. №16
ერევანი
ტ/ფ +3741 0 57 57 79
info.armenia@cenn.org

CENN - აზერბაიჯანი

გარა გარაევის გამზ. №124/128
ბაქო
ტ +99412 4394113
ფ +99412 4743004
info.azerbaijan@cenn.org